ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 8 – 9 ივლისი, 2017

№160 (7395)

ფასი: 50 თეთრი

## „შორენა თეთრუაშვილი იძლეოდა ბრძანებებს, რომლებსაც თვითონვე უარყოფდა“

რა ჩვენება მისცა პატრიარქის დაცვამ სასამართლოს



გვ.5

## 6 ივლისიდან

## საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




# „ალეკო ელისაშვილს უდუმაშვილზე მეტი შანსი აქვს“



გვ.4




## რამაზ საყვარელიძე: „ქართული ოცნების“ წისქვილს ნაციონალური მოძრაობის ქარიშხალი ატრიალებს“




## ემზარ კვიციანი: „რუსეთი საზღვარს სააკაშვილთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სწევს“



გვ.3

„ქართულმა ოცნებამ“ კოდორის მოვლენების გამოძიებაზე უარი თქვა“



## თორნიკე შარაშენიძე: „საქართველო თვისობრივად უნდა დაემსგავსოს ევროკავშირს“



გვ.2

## „გაზპრომი“ ცხინვალში გაზსადენის მშენებლობას იწყებს



გვ.2

რაზე შეთანხმდნენ ბიბილოვი და ხაჯიმბა

## რას ნიშნავს რუსული მარში



გვ.5

რა თემებს ეძღვნება მარშები ევროპაში

ISSN 1987-9385

## „ვერ ვიტყვი, რომ აღდგენილი რძით დამზადებული ყველი საშიშია“



გვ.6



გვ.6

## საქართველოში პოლიეთილენის პარკების მოხმარება 2018 წლიდან აიკრძალება

# თორნიკე შარაშენიძე: „საქართველო თვისობრივად უნდა დაემსგავსოს ევროკავშირს“

ნათია ხურცილავა

საერთაშორისო საკითხების ექსპერტი, ჯიპას პროფესორი **თორნიკე შარაშენიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საქართველოს ევროკავშირში შესვლის პერსპექტივებზე საუბრობს.

***– ბატონო თორნიკე, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარეები მოუწოდებენ ევროპარლამენტს, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტამდე რეზოლუცია იქნას მიღებული, სადაც ასახული იქნება ამ ქვეყნებისადმი მხარდაჭერა და თანხმობა, რომ სამივე ქვეყანას მიეცეს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა. წევრობის განაცხადი უნდა გავაკეთოთ?***

– რა თქმა უნდა, კარგი იქნება, რომ მივმართოთ ევროკავშირს და ჩვენ დავაფიქსიროთ ჩვენი ეს პოზიცია სწორედ წევრობასთან დაკავშირებით, ეს ძალიან კარგი ნაბიჯი იქნებოდა. ეს იქნება ერთგვარი გზავნილი ჩვენი პარტნიორებისთვის, რომ ჩვენ ვემზადებით, ყოველდღიურად ვუახლოვდებით მიზანს, რომ ჩვენ ყოველდღიურად უკეთესი ვხდებით.



პირველ რიგში, ეს კარგი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც დაიწყებს რეფორმების გატარებას აქტიურად იმ მიმართულებით, რაც არის მოთხოვნა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. ასევე ამას უნდა მოჰყვეს პოლიტიკური კუთხით რეფორმები, სადაც გვაქვს პრობლემები.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს რეფორმის კუთხით დავუახლოვდეთ იმ სტანდარტებს, რომლებიც სწორედ ევროკავშირის მხრიდან არის მოთხოვნილი. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, საქართველო თვისობრივად დაემსგავსოს ევროკავშირს, ვიდრე უაზრო მიმართვა გავაკეთოთ. თუმცა, ცხადია, ამასაც აქვს თავისი დატვირთვა.

***– 10-15 წელი არ იგეგმება ევროკავშირის გაფართოება.***

– ამ რეალობას ვერ გავექცევით, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც თავად ასეთი დიდი პრობლემები აქვს ევროკავშირს, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ევროპულ ღირებულებებზე ვთქვათ უარი. აქ უნდა გავხდეთ ევროპა და შემდეგ უკვე ევროკავშირიც დაინტერესდება, მაგრამ ეს რომ მოხდეს, ამას პოლიტიკური ნება სჭირდება ჩვენი ხელისუფლების მხრიდან.

***– არის დღეს ეს მზაობა ხელისუფლების მხრიდან?***

– ამის საუკეთესო მაგალითია საკონსტიტუციო ცვლილებების ირგვლივ განვითარებული მოვლენები, ვენეციის კომისიისა და მისი ხელმძღვანელის ბუკიკიოს განცხადებები, გაკეთებული დაპირება, რომ ყველა შენიშვნა იქნებოდა გათვალისწინებული, შემდეგ ამ სიტყვების უკან წაღება. ეს არის პრობლემა.

***– ევროკავშირში წევრობის განაცხადი რამდენად შეიძლება რუსეთის ფედერაციისთვის გამაღიზიანებელი ფაქტორი იყოს, თუ მას მხოლოდ სამხედრო ბლოკები აშფოთებს?***

– მაგალითად, თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის უსაფრთხოებას დავიცავთ, თუ ყველის დაბინძურების ხარისხი იქნება შემოწმებული ისე, როგორც ეს მოწმდება ვენაში ან ბრიუსელში, ამით რა შარი უნდა მოგვდოს რუსეთმა?! რუსეთის შიშები პირველ რიგში სამხედრო ბლოკებს უკავშირდება და მას პირდაპირ აქვს ნათქვამი ეს ნატოსთან დაკავშირებით. თუმცა, არც ევროკავშირის მიმართულებით ჩვენი ნაბიჯები იქნება დიდი სიხარულის მომტანი რუსეთისთვის, მაგრამ ფორმალურად ეს მას არ მისცემს საფუძველს, რომ ჩვენს საშინაო საქმეებში ასე უხეშად ჩაერიოს.

***– 1987 წელს აქვს თურქეთს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი გაკეთებული. თურქეთი არ იძლევა დამაიმედებელ მაგალითს. თუმცა, ამ შემთხვევაში რამდენად შეიძლება განსხვავებულ ვითარებაზე ვისაუბროთ?***

– რასაკვირველია, აბსოლუტურად განსხვავებული ვითარებაა. დემოკრატიის კუთხით ვიცით, რა ვითარებაც არის თურქეთში. ამ კუთხით ევროკავშირის სტანდარტებს ვერ უახლოვდებიან.

***– მცოცავ ოკუპაციაზეც მინდა გკითხოთ. რამდენად ადეკვატურია ხელისუფლება ამ პროცესში?***

– ფაქტია, რომ არ არის. ადეკვატური რომ იყოს და საკმარის ზომებს რომ იღებდეს, მცოცავი ოკუპაცია არ იქნებოდა დაფიქსირებული.

***– და რა უნდა გაკეთდეს?***

– მაქსიმალურად უნდა მოხდეს საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება, მაქსიმალურად უნდა შუქდებოდეს საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებებში ეს ფაქტები, რომ ამით მაინც შევუქმნათ რუსეთს დისკომფორტი.

# „გაზპრომი“ ცხინვალში გაზსადენის მშენებლობას იწყებს

## რაზე შეთანხმდნენ ბიბილოვი და ხაჯიმბა

შორენა მარსაგიშვილი

დიდი ოცეულის ქვეყნების ლიდერების სამიტის პარალელურად, სოხუმში არაღიარებული რესპუბლიკების პრეზიდენტების შეხვედრა გაიმართა. აფხაზთა ლიდერს სამხრეთ ოსეთის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა ჩააკითხა.

ეს უკანასკნელი მანამდე მოსკოვში იმყოფებოდა, სადაც გაზპრომის თავკაცს ალექსანდრ მილერს ესაუბრა.

ოსური მედიის ცნობით, მილერისა და ბიბილოვის შეხვედრაზე რესპუბლიკის გაზიფიცირების საკითხი განიხილეს.

მხარეები სამომავლოდ ხელშეკრულების გაფორმებაზეც შეთანხმდნენ. რომლის თანახმადაც, რესპუბლიკის რეგიონების გაზიფიკაცია მოხდება. ამ დროისთვის ბუნებრივი აირი მხოლოდ ცხინვალისთვის არის ხელმისაწვდომი.

გაზპრომი მზადაა, რესპუბლიკის მასშტაბით გაზსადენების მშენებლობა 2,5 მილიარდი რუბლით დააფინანსოს.

– ჩვენ შევთანხმდით, რომ აუცილებელია სამხრეთ ოსეთის გაზიფიკაცია. ამიტომ წელს მომზადდება ყველა საჭირო დოკუმენტი, სექტემბერში კი მთავრობა „გაზპრომთან“ ხელშეკრულებას მოაწერს ხელს. მომავალი წლიდან რესპუბლიკის გაზიფიკაცია დაიწყება, – განაცხადა ბიბილოვმა.

მილერის მიერ დაკმაყოფილებული ბიბილოვი დელეგაციასთან ერთად მშვიდად გაემგზავრა აფხაზეთში.

აფხაზური მედიის ცნობით, აფხაზთა პრეზიდენტი ოს კოლეგას განსაკუთრებული სითბოთი შეხვდა და მას საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.

რაულ ხაჯიმბამ შეხვედრაზე განაცხადა, რომ ცხინვალსა და სოხუმს შორის კარგი და მეგობრული ურთიერთობები ჩამოყალიბდა. მისი თქმით, ცუდი არ იქნება, თუ მხარეები კიდევ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებენ და სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს გააღრმავებენ.

გულაჩუყებულმა ბიბილოვმა თბილი მიღებისთვის მასპინძელს მადლობა გადაუხადა და ის ცხინვალში მიიწვია. ხაჯიმბა დაჰპირდა, საპასუხო ვიზიტით აუცილებლად დაგაფასებო.

ხაჯიმბას მსგავსად, მასაც უფრო მჭიდრო თანამშრომლობა სურს.

– ამის შესაძლებლობა არის და ეს აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ, – აღნიშნა ბიბილოვმა.

მისი თქმით, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები მხოლოდ ქაღალდზე არ უნდა დარჩეს და აუცილებელია მათი ცხოვრებაში გატარება.

ბიბილოვმა აფხაზ კოლეგას რამდენიმე იდეაც შესთავაზა. მისი თქმით, ცუდი არ იქნება თუ ერთობლივი საწარმოების შექმნა მოხდება.



– გთავაზობთ, შევქმნათ ერთობლივი საწარმოები და ასე ერთობლივად გავიდეთ რუსულ ბაზარზე, – აღნიშნა ცხინვალელმა სტუმარმა.

მან აფხაზებს ციტრუსების გასაღებაც შესთავაზა.

– აუცილებლად უნდა ვიფიქროთ აფხაზური ციტრუსის შეტანაზე სამხრეთ ოსეთში. ჩვენ დაგეხმარებით ამ პროდუქციის რეალიზაციაში. აქამდე ციტრუსი საქართველოდან შემოდიოდა, არადა აფხაზური მანდარინები უფრო გემრიელია, – განაცხადა ბიბილოვმა.

სოხუმში მან მილერთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზეც ისაუბრა და აფხაზეთში დენის დაბალ ტარიფზეც გაამახვილა ყურადღება.

– ჩვენ გაზპრომთან ხელშეკრულების გასაფორმებლად ვემზადებით, გვინდა, რომ მთელი რესპუბლიკის გაზიფიცირება მოხდეს. ჩვენთან ისეთი დაბალი დენის ტარიფი რომ ყოფილიყო, როგორც ეს აფხაზეთშია, გაზიფიცირება საჭირო აღარ იქნებოდა, – აღნიშნა სტუმარმა.

ბიბილოვის თქმით, მათთან 1 კვტ.სთ ელექტროენერგია 2.64 რუბლი ღირს, ხოლო ერთი კუბომეტრი გაზი 4 რუბლი.

რაულ ხაჯიმბას თქმით, აფხაზეთში 1 კვტ.სთ ელექტროენერგია 40 კაპიკი ღირს, მაგრამ მოსახლეობა მაინც ვერ იხდის გადასახადებს.

– ტარიფის სიმცირის მიუხედავად, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს მაინც ვერ იხდის. გადასახადების გადახდა ძველებურად პრობლემად რჩება, – აღნიშნა მასპინძელმა.

* * *

სანამ ბიბილოვი აფხაზეთის ქუჩებში დასეირნობს, რუსები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების გაფართოებას ცდილობენ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი მცოცავ ანექსიას დიდ საინტერესო შეფასებას აძლევს.

კარასინის განცხადებით, სამხრეთ ოსეთს სურს, ჰქონდეს საზღვარი საქართველოსთან, მაგრამ ქართულ მხარეს ეს არ უნდა.

– რა ხდება? ხდება ის, რომ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის უნდა იყოს საზღვარი და ამას აკეთებენ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები. მათ არაერთხელ მოითხოვეს საზღვრის დემარკაციის საკითხზე მსჯელობა, მაგრამ ქართულ მხარეს ეს არ სურს, – აღნიშნავს კარასინი.

ლავროვის მოადგილის თქმით, აბაშიძე-კარასინის შეხვედრამდე გარკვეული ძალები სიტუაციის დაძაბვას ცდილობენ, რათა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების ნორმალიზებას ხელი შეუშალონ.

– ერთმანეთს პოლიტიკურ საკითხებზე მოსაზრებები გავუზიარეთ. ჩვენ მოვისმინეთ ქართული მხარის მოსაზრება, დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია, მაგრამ პრაღაში ამ თემებზე არ ვისაუბრებ. აქ რომ ვისაუბრო უსაფრთხოების საკითხებზე და პოლიტიკურ თემებზე, მაშინ გავიმეორებთ ჟენევას. ჟენევაში უკვე ვისაუბრეთ და კიდევ ვისაუბრებთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ შეხვედრამდე სიტუაციის დაძაბვა ხდება. იმათ გვარებს და სახელებს არ დავასახელებ, ვინც ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების ნორმალიზების წინააღმდეგი არიან. თქვენ იცით მათ შესახებ. ან სკანდალს აწყობენ, ან ვიღაც მიჰყავთ საზღვარზე და აკეთებენ განცხადებებს. ეს აჩვენებს, რომ ყველას ინტერესში არ შედის, რომ ურთიერთობები განვითარდეს, – განაცხადა კარასინმა.

ამ საყოველთაო აურზაურის მიუხედავად, რუსი დიპლომატი პოზიტივზეც საუბრობს. მისი თქმით, საბაჟო რეგულირების საკითხების მოგვარების კუთხით წინსვლაა.

– გვაქვს პოზიტიური ახალი ამბები, ეს ეხება, მაგალითად, არქივებს, დაინტერესებულები არიან, რომ ურთიერთობები ჰქონდეთ. მე ვფიქრობ, რომ წავედით წინ საბაჟო რეგულირების საკითხების მოგვარების კუთხით.

ძალიან დიდი ხანია ამაზე ვმუშაობთ. მე მექმნება შთაბეჭდილება, რომ პრაქტიკული რეალიზაციის ეტაპზე ვართ. მოვილაპარაკეთ ექსპერტების დონეზე შეხვედრებზე თუ როგორ მოვახდენთ ყაზბეგი-ლარსის გზის მოდერნიზებას. ამის შესახებ ექსპერტებმა უნდა იმსჯელონ. აღვნიშნეთ, რომ ვაჭრობის მაჩვენებელი ქვეყნებს შორის გაიზარდა. წელს, პირველი 6 თვის მანძილზე, თითქმის 40%-ით გაიზარდა სავაჭრო ბრუნვა. ტურიზმიც პერსპექტიული მიმართულებაა, – აღნიშნა ლავროვის მოადგილემ.

## კასპის რაიონში 4 ტურისტი გაუჩინარდა

კასპის მუნიციპალიტეტში სალაშქროდ მყოფი 4 ტურისტი გაუჩინარდა. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა 5 ივლისს მოხდა, მაშინ, როდესაც ისინი სოფელ გოსტიბეში იმყოფებოდნენ.

ჩვენი ინფორმაციით, ტურისტებს გზა აერიათ და, სავარაუდოდ, ისინი ჭავჭავაძის ტყეში იმყოფებიან. მათ შეძლეს დაკავშირება სამაშველო სამსახურთან და დახმარება ითხოვეს, თუმცა ამ დროისთვის მათთან სატელეფონო კომუნიკაცია ველარ ხერხდება.

ოთხი პირის გაუჩინარების შესახებ არსებულ ინფორმაციას ადასტურებს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო. უწყების პრესსამსახურის ცნობით, დაკარგულებს მაშველები ინტენსიურ რეჟიმში ეძებენ. სამაშველო სამსახურში კი დახმარების თხოვნით ზარი 5 ივლისს, ღამით შევიდა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ემზარ კვიციანი: „რუსეთი საზღვარს სააკაშვილთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სწევს“

## „ქართულმა ოცნებამ“ კოდორის მოვლენების გამოძიებაზე უარი თქვა“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ თქვა უარი ხელისუფლებამ კოდორის ამბების გამოძიებაზე, რატომ არის აუცილებელი სამართლიანობის აღდგენა, როგორ უნდა შეჩერდეს რუსული ოკუპაცია? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი **ემზარ კვიციანი** ესაუბრება.

***— პარლამენტში როცა შეხვედით, განაცხადეთ, რომ მოიძიებდით იმ მასალებს, რომელიც ნათელს მოჰფენდა 2006-2008 წლების კოდორის მოვლენებს. მოიძიეთ რაიმე მასალები?***

— არანაირი მასალები არ მომიძიებია. მეგონა, რომ ამ მოვლენების გამოძიებით „ქართული ოცნებაც“ დაინტერესებული იყო. მოვითხოვე, რომ დროებითი საგამოძიებო კომისია შექმნილიყო. მათ ამაზე უარი მითხრეს.

***— მოტივი?***

— სიმართლის დადგენა მათ ინტერესებში არ შედის. არ დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელ ხელისუფლებაში მრავლად არიან მინი-სააკაშვილები. ისინი სიმართლის დადგენას არ დაუშვებენ. რაც იმას ნიშნავს, რომ მოღალატეები და ქვეყნის გამყიდველები თავისუფლად ივლიან.

კოდორის მოვლენების გამოძიება მაინც მოხდება და მე ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. სწორედ ამ მოთხოვნით მივიღებ მონაწილეობას 14 ივლისის აქციაში.

***— ქართველთა მარშზე საუბრობთ თუ ოკუპაციის წინააღმდეგ დაანონსებულ აქციაზე? 14 ივლისის ორი აქციაა დაგეგმილი.***

— მე თბილისის აქციაზე მივდივარ. ნაციონალების ფაშისტური რეჟიმისგან დაზარალებულებს მოვუწოდებ, მოვიდნენ და ერთად მოვითხოვოთ სამართლიანობის აღდგენა.



***— თუმცა, ამ აქციას სულ სხვა სულისკვეთება აქვს.***

— საკითხები, რომლებსაც აქციის ორგანიზატორები აყენებენ, სამართლიანობის აღდგენას უკავშირდება. ჩვენ უნდა გავითავისოთ, რომ სამართალი თუ არ აღდგა, არაფერი არ გამოვა. გულზე ხელებს თუ დავიკრებთ, ხელისუფლება თითსაც არ გაანძრევს. „ოცნებას“ დაპირებების შესრულებას მხოლოდ ხალხის აქტიურობა აიძულებს.

ხელისუფლებას ხალხის პროტესტის ეშინია. ეს აქცია ჯერ არ ჩატარებულა და უკვე გამოიღო შედეგი. რამდენიმე დღის წინ უკანონო პროსტიტუციისთვის 150 კავი აიყვანეს. უმსგავსობასთან ბრძოლაში ხელისუფლება ნელ-ნელა ჩაერთო.

მე ადრე არაერთხელ ვთქვი, რომ სანამ ქართველებს ეროვნული იმუნიტეტი არ ჩაგვერთვება, ქვეყანა ფეხზე ვერ დადგება. აშკარაა, რომ ეროვნული იმუნიტეტი გამომუშავდა.

***— ეროვნულ იმუნიტეტში რას გულისხმობთ?***

— ყველა ადამიანის ორგანიზმს აქვს იმუნიტეტი, რომელიც სხვადასხვა ავადმყოფობას ებრძვის. ყველა ერშია ასეთი ეროვნული იმუნიტეტი და როცა ერს ძალიან უჭირს, მაშინ ხდება მისი გამოვლენა. ახლა ყველაზე მძიმედ გვაქვს საქმე და იმუნიტეტიც გამომჟღავნდა. ეს მაფიქრებინებს, რომ არ დავიღუპებით.



ვიცი, რომ ბევრს სახელი „მარში“ არ მოსწონს, მაგრამ ეს მიზეზი გვერდზე უნდა გადადონ. ახლა მთავარია ყველას დავანახოთ ერთიანობა. ერთიანობა იმისთვისაც არის აუცილებელი, რომ ხელისუფლებამ ხალხს დაუჯეროს და არა ამერიკის ანდა რუსეთის საელჩოებს.

***— პატრიოტთა ალიანსი უერთდება ქართველთა მარშს?***

— პატრიოტთა ალიანსი იქ არის, სადაც ქართული საქმე კეთდება. ამასთან, რაც ამ მარშზე გითხარით, ეს ჩემი პირადი პოზიციაა. იცოდეთ, რომ რასაც ვამბობ და ვლაპარაკობ, ეს ყოველთვის ჩემი პირადი პოზიციაა.

***— ზემოთ თქვით, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ არც ამერიკას და არც რუსეთს არ უნდა მოუსმინოს. რუსეთის ქმედებების გაპროტესტებას თუ აპირებთ?***

— რუსეთის ქმედებებს მე ყოველთვის ვაპროტესტებდი. მათ წინააღმდეგ იარაღით ხელში ვიბრძოდი. მზად ვარ, ახლაც გავაპროტესტო მოსკოვის პოლიტიკა, მაგრამ ნაციონალების გვერდით ვერ დავდგები. რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ აქცია კი მაგათი დაანონსებულია.

***— თუ გმობთ რუსეთის ქმედებას, მაშინ რატომ არ უნდა დადგეთ ნაციონალების გვერდით?***

— იმიტომ, რომ ნაციონალები არიან. კარგად მომეხსენება ისიც, რომ მათ სულ სხვა მიზნები აქვთ და რუსული ოკუპაცია სულაც არ აწუხებთ. ამით შეწუხებულები რომ ყოფილიყვნენ, უკანონო ბრძანებების წინააღმდეგ კანონის მიღებას დაუჭერდნენ მხარს.

მხარს პირველ რიგში იმიტომ არ უჭერენ, რომ ოკუპაციის შეჩერება მხოლოდ ამ კანონს შეუძლია.

***— ვინ მოამზადა ეს კანონი?***

— ჩვენ.

***— რა კანონია ამისთანა?***

— ძალიან სერიოზული. შარშანწინ რუსებმა საოკუპაციო ზოლი 1.800 მეტრით გადმოსწიეს. ეს რატომღაც ყოფილმა ხელისუფლებამ ვერ შენიშნა. მათგან განსხვავებით მე, ადა მარშანია და ვაჟა ოთარაშვილი ადგილზე ჩავედით. შევხვდით მოსახლეობას.

ყოფილი ხელისუფლებიდან იქ არავინ გამოჩენილა. რას გამოჩნდებოდნენ, გამყიდველები არიან და ჩვენს ქვეყანას „ნალევო — ნაპრავო“ ყიდიან.

მინდა ისიც იცოდეთ, რომ რაც ახლა საოკუპაციო ზოლში ხდება, ნაციონალებისთვის კეთდება. რუსებს საზღვარი არ გადმოუწევიათ, მათ ბანერი აღმართეს.

***— ბანერის გადმოწევა არ ნიშნავს საზღვრის გადმოწევას?***

— არა. საზღვრის გადმოწევა სხვა რამეა. ამათ ბანერი მხოლოდ ერთი მიზნით აღმართეს — ნაციონალებს სალაპარაკო გასჩენოდათ. სხვანაირად რომ ვთქვათ, სატოპკე აუწიეს.

***— თქვენი აზრით, ნაციონალები სალაპარაკო თემას ვერ მოძებნიდნენ?***

— რანაირად უნდა მოძებნონ. გაშიშვლებულ-გატიტვლებულები არიან და ხმას ვერ იღებენ. რუსეთის სპეცსამსახურები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ მათ სალაპარაკო ჰქონდეთ.

***— მოდით, ისევ იმ კანონს დავუბრუნდეთ, რომელზეც თქვით, რომ ოკუპაციის შეჩერება შეუძლია. რას ითვალისწინებს ეს კანონი?***

— უკანონო ბრძანებების გაცემის და მისი შესრულების აკრძალვას ითვალისწინებს. გითხარით, რომ ალიანსის ხალხი კონფლიქტის ზონაში ჩავედით, სადაც რუსებმა საზღვარი გადმოსწიეს. ჩვენ იქ ვნახეთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ძალოვნები. ვესაუბრეთ სამმართველოს უფროსსაც, რომელსაც იქაურობის მეთვალყურეობა ავალია.

ვკითხე, როგორ შემოუშვი რუსები 1.800 მეტრის სიღრმეში, ჰაერში ერთხელ მაინც რატომ არ გაისროლეთ-თქო. მიპასუხა, მე რას მერჩი, წესდებაში მიწერია, რომ არაფერი არ უნდა მოვიმოქმედოო.

როდესაც ჯარისკაცს ან სამართალდამცავს ასეთ ბრძანებას აძლევ, ეს არის უკანონობა. უკანონობაა, როცა სამხედროებს ეუბნები, მეზობელი ქვეყნის ჯარი უპრობლემოდ უნდა შემოუშვა ჩვენს ტერიტორიაზე. ამ უკანონო ბრძანების შეუსრულებლობა უნდა წახალისდეს, ხოლო შესრულება დასჯადი იყოს. მერე ვნახავთ, თუ გადმოიწევს კიდევ.

***— თქვენი აზრით, ჩვენმა სამართალდამცავებმა ცეცხლი უნდა გაუხსნან მოწინააღმდეგეს?***

— თუ ჩემი მეზობელი ჩემი ტერიტორიის დაპატრონებას შეეცდება, ცეცხლი უნდა გავუხსნათ, აბა ყვავილებს ხომ არ ვესვრით. აბა გავბედოთ და ვცადოთ, რომელიმე მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე ასე შესვლა. სახელმწიფო თუ გვქვია, კბილებით უნდა დავიცვათ ჩვენი საზღვრები.

ამ კანონის მიღებას ყველაზე მეტად ნაციონალები ეწინააღმდეგებიან და ამ წინააღმდეგობას თავისი მიზეზები აქვს. სააკაშვილმა 2008 წელს დაიწყო ჩვენი ტერიტორიების გაჩუქება და გაყიდვა. ეს პროცესი ჯერ ისევ გრძელდება. ჩვენ ისიც არ ვიცით, რაზე აქვს ყოფილ ხელისუფლებას ხელი მოწერილი.

რატომ ვერ ესვრიან რუსებს ქართველი სამხედროები, იცით? სააკაშვილს რაღაც საშინელ დოკუმენტზე აქვს ხელი მოწერილი. სროლას სამართლებრივი გარჩევები მოჰყვება, რუსები დაგიდებენ ექსპრეზიდენტის მიერ მოწერილ დოკუმენტს და გეტყვიან, რომ სამართლებრივად სწორია ეს საქციელი.

***— ამ დოკუმენტზე თუ სააკაშვილს აქვს ხელი მოწერილი, „ოცნება“ რატომ არ ასაჯაროებს?***

— წეღანაც ხომ გითხარით, რომ „ოცნების“ რიგებში ძალიან ბევრი სააკაშვილია. მათ შორის კი არის პატარა კინკლაობა, მაგრამ მთლიანობაში ერთად არიან და ერთად აკეთებენ ძალიან ბევრ საქმეს.

ბანერი, როგორც გითხარით, რუსებმა იმიტომ ჩადგეს, რომ ნაციონალებისთვის სალაპარაკო მიეცათ. ამას მეორე მიზეზი აქვს. რუსეთს ქართველთა მარშის ყველაზე მეტად ეშინია და ამ მარშს დაამთხვია საზღვრის გადმოწევა. მოსკოვში უნდათ, რომ ქართველთა ერთიანობა არ შედგეს.

# ცოლ-შვილის ცემაში ბრალდებულს 1 წლით პატიმრობა მიესაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მეუღლისა და შვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე ბრალდებული დ.ნ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი) და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით. ინფორმაციას ამის შესახებ პროკურატურა ავრცელებს:

— სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2017 წლის 7 მარტს, დ.ნ.-მ შვილს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რასაც მისი მეორე, არასრულწლოვანი შვილი შეესწრო. ასევე დ.ნ-მ 24 აპრილს საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ხოლო 25 აპრილს მაღაზიაში მეუღლეს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. დ.ნ.-ს მიერ განხორციელებული ძალადობის შედეგად მისმა შვილმა და მეუღლემ ძლიერი ფიზიკური ტკივილი განიცადეს.

სამართალდამცველებმა დ.ნ. 19 მაისს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი) და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, ჩადენილი არასრულწლოვანის თანდასწრებით) წარედგინა, ხოლო აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

სასამართლომ დ.ნ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, — აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

# არასრულწლოვნების მიმართ გარყვნილ ქმედებაში ბრალდებულ ინდოელებს პატიმრობა შეეფარდათ



თბილისის საქალაქო სასამართლომ ინდოეთის ორ მოქალაქეს არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების საქმეზე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 24 აგვისტოს, 13:00 საათზე გაიმართება.

— წარდგენილი ბრალის თანახმად, ჰ. ს.-მ და რ. ს.-მ სამი მოზარდი, მოტყუებით აიყვანეს საცხოვრებელ ბინაში და მათ მიმართ გარყვნილი ქმედება განახორციელეს. მათ ბრალად ედებათ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, (რომელიც არ შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს) ჩადენილი ძალადობით, ჯგუფურად, წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან.

სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა, მოისმინა მხარეთა განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, შეამოწმა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფაქტობრივი (მტკიცებულებითი), ისე ფორმალური (საპროცესო) საფუძვლები. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბრალდებულებს ბრალად ედებათ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შესაძლო ჩადენა, რომელიც სასჯელის სახედ ითვალისწინებს 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ასევე ბრალდებულებს არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, აქვთ კავშირები საზღვარგარეთ და მაღალია მათი მხრიდან მიმალვის საფრთხე. სასამართლომ მიიჩნია, რომ დაზარალებულთა ასაკის გათვალისწინებით, არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო მიზნების აღსრულებისთვის საზიანო ზემოქმედების საფრთხე. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების სახედ ბრალდებულებს პატიმრობა შეეფარდათ.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, — აღნიშნულია საქალაქო სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# „ალეკო ელისაშვილს უდუმაშვილზე მეტი შანსი აქვს“

## რამაზ საყვარელიძე: „ქართული ოცნების“ წისქვილს ნაციონალური მოძრაობის ქარიშხალი ატრიალებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** პასუხობს.

***— ბატონო რამაზ, თბილისის მერობის კანდიდატები ძირითად უკვე გამოკვეთილია. ექსპერტთა ნაწილის განცხადებით, ჯობდა, ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი ჰყოლოდა, რადგან ერთმანეთს ხმებს წაართმევენ. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— ოპოზიციური პარტიების გაერთიანება არ ნიშნავს იმ ადამიანების გაერთიანებას, რომლებიც ხელისუფლებას არ უჭერენ მხარს, რადგან არსებობს კიდევ ერთი ნიშა — ადამიანები, რომლებიც არავის უჭერენ მხარს. 2016 წელს თითქმის ნახევარმა მოსახლეობამ უარი თქვა არჩევნებზე. ასე რომ, თქმა იმისა, რომ ოპოზიციის გაერთიანებით დიდი ძალა შეიკვრება, ადეკვატური არ არის. გაერთიანებულმა ოპოზიციამ მაქსიმუმ შეკრას მოსახლეობის 15%. ხელისუფლების მხარდამჭერთა რიცხვი, პროცენტულად თუ ვიმსჯელებთ, გაცილებით მეტია. ოპოზიციის გაერთიანებით ჩვენ ვერ მივიღებდით ხელისუფლების კანდიდატთან კონკურენტუნარიან ფიგურას. ამიტომ ის ტრივიალური ჭეშმარიტება, რომ ძალა ერთობაშია, ამ შემთხვევაში არ გამოდგება.

***— ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ ერთმანეთს წაართმევენ ხმებს?***

— ყველა ყოფილი ნაცმოძრაობა ერთსა და იმავე ხმებზე ზის. ბუნებრივია, ერთმანეთს წაართმევენ.

***— ყველა მათგანს აქვს ნაციონალური მოძრაობის იარლიყი. რამდენად დააღწევენ თავს ამ წარსულს?***

— არცერთ ამ ჯგუფს არ გაუკეთებია ნაციონალური მოძრაობის შეფასება. ესენი, მაქსიმუმ, რასაც ამბობენ, არის ის, რომ იყო შეცდომები. ამ დროს მოსახლეობის ეს დიდი ნაწილი, რომელიც მათ ხმას არ აძლევს, თვლის, რომ იყო დანაშაული და არა შეცდომები. იქამდე, სანამ პარტიები იმავე პოზიციას არ დაიკავებენ, რომელსაც არანაციონალური ამომრჩეველი, ხალხი მათკენ არ წავა. შესაბამისად კი ეს პარტიები ერთმანეთს წაართმევენ ამომრჩეველს.

***— ჩამოუყალიბებელი ხმების ძალიან მაღალი პროცენტია. საით წავა ეს ხმები?***

— ჩამოუყალიბებელი ხმები იქით მიდის ხოლმე, საითაც მეტია ხმები ანუ როცა ადამიანი დაინახავს, ძირითადად ვის აძლევენ ხმას, თვითონაც იქით იხრება.

***— ელისაშვილის შანსებზე რას იტყოდით? მან გადაწყვიტა, დამოუკიდებელ კანდიდატად იყაროს კენჭი.***

— თუკი ელისაშვილმა მოახერხა ამ ჯგუფის ხმების აღება, რომელსაც არც „ოცნება“ უნდა და არც — ნაციონალები, მას საკმაოდ დიდი



პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს. გარდა ამისა, ელისაშვილს მოუწევს იმის დამტკიცება, რომ, როგორც მერი, დამოუკიდებელი კი იქნება, მაგრამ მან უნდა შეძლოს ამ დიდი მეურნეობის გაძღოლა. ელისაშვილს მეურნეობასთან აქამდე შეხება არ ჰქონია. მან უნდა წარმოაჩინოს მისი, როგორც მეურნის, პოტენციალი. თუ მეტი არა, ნაციონალებზე ნაკლები შანსები ნამდვილად არ აქვს.

***— კალაძის შანსებზე რას იტყვით? ბიძინა ივანიშვილის არგამოჩენამ შესაძლოა „ქართული ოცნება“ აზარალოს?***

— ივანიშვილმა 2016 წლის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე თქვა, ჩავერთვები, თუ დავინახე, რომ საჭიროა დახმარებაო. იმ არჩევნებზე მან ჩათვალა, რომ დახმარება სჭირდებოდა „ქართულ ოცნებას“ და ჩაერთო. თუ აქ მან ჩათვალა, რომ კახი კალაძეს დახმარება არ სჭირდება, მაშინ ის არ ჩაერთვება. ჩვენ გვახსოვს, რა ენერგიულად ჩაერთო ის ნარმანიას საარჩევნო კამპანიაში და ეს ბუნებრივიც იყო.

***— რატომ, მის გარეშე ნარმანია არჩევნებს ვერ მოიგებდა?***

— ვერა, იმიტომ, რომ ახალი ფიგურა იყო და პრაქტიკულად ივანიშვილმა მიილო ხმები ნარმანიას არჩევნების დროს. სიტუაცია კალაძესთან სხვანაირია.

***— კალაძე იმდენად პოპულარულია, რომ არ საჭიროებს ივანიშვილის გვერდში დგომას?***

— მე ასე მგონია. ამ ყველაფერზე პასუხს მოგვცემენ სოციოლოგიური კვლევები. სოციალური კვლევისას ხომ არავინ კითხულობს, ივანიშვილის ჩართვის შემთხვევაში რას იზამო? კვლევისას პირდაპირ ისმის კითხვა — ვის მისცემ ხმას? თუ ამ გამოკვლევებმა აჩვენა, რომ კალაძე იღებს ხმების საჭირო რაოდენობას და ასეთ გამოკვლევებს ყველა პარტია ატარებს ხოლმე, მათ შორის „ოცნება“, ამ ნაბიჯს ივანიშვილი არ გადადგამს.

***— ივანიშვილი დაეყრდნობა სოციალურ კვლევებს, იმას, თუ როგორი მხარდაჭერა ექნება მის გუნდს?***

— დიახ, ასე იქნება, რადგან მას სურს გამყარდეს ის სურათი საზოგადოებაში, რომ ივანიშვილი არ არის ჩართული „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუ არ შეიქმნა რაიმე ექსტრემალური სიტუაცია.

***— 2020 წელს დასრულდება „ქართული ოცნების“ მოღვაწეობა?***

— მე მგონი, პირიქით.

***— რას ნიშნავს პირიქით? მესამე ვადითაც მოვლენ?***

— ოპოზიციის აქტიურობით პოლიტიკა დაიძრა საპარლამენტო რესპუბლიკისკენ. საპარლამენტო რესპუბლიკა ნიშნავს იმას, რომ გამარჯვებული პარტია მერე მთავრობასაც აყალიბებს. ეგ თავისთავად იმასაც ნიშნავს, რომ უკვე გამარჯვებული პარტია მთავრობის რესურსსაც გამოიყენებს შემდეგ არჩევნებში. ეს ერთი მხარე. მეორე მხარე...

***— რას ითვალისწინებს მეორე მხარე?***

— ისევ ოპოზიციის დაჟინებული მოთხოვნაა, იყოს პროპორციული არჩევნები და არა მაჟორიტარული. ეს ნიშნავს, რომ პარტიის რეიტინგი იქნება ძირითადი ფაქტორი და არა პოლიტიკოსების პიროვნული რეიტინგები. პარტიული რეიტინგი კი „ქართულ ოცნებას“ უფრო მეტი აქვს, ვიდრე დანარჩენ ოპოზიციას. თვითონ ოპოზიცია „ახერხებს“ და ამას ნამდვილად „მოხერხება“ უნდა, რომ მოითხოვოს ყველაფერი ის, რაც მისთვის წამგებიანია 2020 წლისთვის.



***— თუ პროპორციული სისტემა ოპოზიციისთვის წამგებიანია, ასე დაჟინებით რატომ ითხოვენ, ვერ აცნობიერებენ თუ „ოცნების“ წისქვილზე ასხამენ წყალს?***

— ეს მათ უნდა ჰკითხოთ.

***— რა გამოდის, ამ სიტუაციაში „ოცნებას“ თავისუფლად შეუძლია იყოს მესამე, მეოთხე და მეხუთე ვადითაც ხელისუფლებაში?***

— კი ბატონო! ხუთამდე შეუძლიათ და დანარჩენი უკვე მათ ჭკუასა და შექმნილი სიტუაციის გამოყენებაზეა დამოკიდებული. ძირითადად დღემდე „ქართული ოცნება“ რეიტინგს იღებს იმის ხარჯზე, რომ არ წყნარდება და არ ჩუმდება ნაციონალური მოძრაობა. ძირითადი, რაც ატრიალებს „ქართული ოცნების“ წისქვილს, ეს ნაციონალური მოძრაობის ქარიშხალია. სანამ ესენი ასე იქარიშხლებენ და სანამ საზოგადოებას ექნება შიში, ამათი მოშვება როგორ შეიძლება ხელისუფლებაშიო, იქამდე „ქართული ოცნების“ რეიტინგი ამ ხერხით ყოველთვის მაღალი იქნება.



## ონლაინსესხებთან დაკავშირებით სიტუაცია შეიცვალა

— წინა წლებთან შედარებით, ონლაინ მსესხებელთან დაკავშირებით სიტუაცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით სერიოზულად შეიცვალა.

ამის შესახებ ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტმა **მურთაზ კიკორიამ** განაცხადა. მისივე თქმით, არასაბანკო ორგანიზაციებისთვის რეგულაციების ამოქმედების შემდეგ კატასტროფული განაკვეთები, რაც ადრე იყო, აღარ არსებობს.



— შეიძლება ერთი-ორი ონლაინმსესხებელი კომპანია რაღაც გამოსავლის გზებს ეძებს, მაგრამ დამიჯერეთ, ექვსი თვის განმავლობაში უკეთესი სურათი გვაქვს, ვიდრე იყო. კატასტროფული საპროცენტო განაკვეთები რაც არსებობდა, ეს მოცემულობები აღარ გვაქვს, — აღნიშნა კიკორიამ.

რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის რეგულაციების დაწესებას, მურთაზ კიკორიას თქმით, ეროვნული ბანკი ითხოვს, რომ ქვეყანაში იმ სექტორის საქმიანობა იყოს ლიცენზირებული, რომელიც მოსახლეობისგან თანხებს მოიზიდავს. ამასთან, მისი განმარტებით, რეგულაციები მიმართულია იქითკენ, რომ არასაბანკო სექტორი დაიხვეწოს და 10-15 წელიწადში საბანკო დონემდე ავიდეს.

— რეგულაციების დაწესებით მარტივ რაღაცას ვითხოვთ, რომ ქვეყანაში საქმიანობა, რომელიც მოსახლეობისგან თანხების მოზიდვას გულისხმობს, უნდა იყოს ლიცენზირებული.

საბანკო სექტორი დაახლოებით ოცი წლის წინ იგივე მდგომარეობაში იყო, რაშიც დღეს არასაბანკო სექტორია. სწორედ გამჭვირვალობამ და მკაცრმა რეგულირებამ საბანკო სექტორში მოიტანა ოთხი მილიარდის ინვესტიციის განხორციელება.

ჩემი პირადი სურვილი და ეროვნული ბანკისაც ეს არის, რომ ამ სექტორს უზარმაზარი გზა გაეხსნას წინ, რისი რესურსიც მათ აქვთ და რასაც გამჭვირვალე, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი თამაშების წესებით მიაღწევენ, — განაცხადა მურთაზ კიკორიამ.

მისივე განცხადებით, ის განაღდების კაპიტალის ზრდა, რაც რეგულაციებით არის გათვალისწინებული, აუცილებელია იმისთვის, რომ მიკროსაფინანსო სექტორმა ოპერირება მოახდინოს.

— ჩვენი შეფასებით, მილიონი ლარი არის მინიმალურად აუცილებელი კაპიტალი იმისათვის, რომ ამ სექტორში კომპანიამ ოპერირება მოახდინოს და რისკები მინიმუმ დააზღვიოს, დაწყებული კლიენტების უზრუნველყოფით, შემოსავლიანობით, საოპერაციო მოგებით და ა.შ. სექტორში უსაფრთხოდ მუშაობისთვის კაპიტალის ეს რაოდენობა საკმარისია. აქედან გამომდინარე, იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრებით არიან, მათ აუცილებლად დაუწესდებათ ლიკვიდობისა და კაპიტალის შესაბამისი მოთხოვნები, — აღნიშნა მურთაზ კიკორიამ.

როგორც ცნობილია, საქართველოში ონლაინსესხების გაცემის აკრძალვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება 2016 წლის დეკემბერში პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე გაახმოვანა. რეგულაციები ძალაში 2017 წლის 16 იანვრიდან შევიდა.

აღნიშნული ცვლილებით, პროცენტის განსაზღვრის შემთხვევაში, გაცემული სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 100%-ს, მათ შორის, სესხის ვადის გაგრძელების შემთხვევაში. გარდა ამისა, ყველა საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის, ასევე სესხის გაცემის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევისათვის მსესხებლისათვის თითოეულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ან ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გაცემული სესხის ნარჩენი ძირი თანხის წლიურ 150%-ს.

რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, მათთან დაკავშირებით კანონპროექტი უკვე მზადაა. აღნიშნული პროექტით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეზრდებათ განაღდებული კაპიტალის მინიმალური ოდენობის ვალდებულება. მისო-ებმა კაპიტალის შევსება უნდა განახორციელონ 2019 წლის 1-ლ იანვრამდე შემდეგი თანმიმდევრობით: ა) არანაკლებ 500.000 (ხუთასი ათასი) ლარისა 2018 წლის 1-ლ იანვრამდე; ბ) არანაკლებ 1.000.000 (ერთი მილიონი) ლარისა 2019 წლის 1-ლ იანვრამდე.

## საქართველოს უცხოურმა რეზერვებმა 2,9 მლრდ დოლარს გადააჭარბა

ივნისში საქართველოს სარეზერვო აქტივების მოცულობა 2.956 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც 2013 წლის ნოემბრის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 2013 წლის ნოემბერში რეზერვების მოცულობა 3,030 მლრდ დოლარი იყო. ბოლო ერთ თვეში კი სარეზერვო აქტივები 13 მლნ დოლარით გაიზარდა, წლიურად კი — დაახლოებით 10 მლნ.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, რეზერვების უდიდესი წილი 2.753 მლრდ დოლარი უცხოური ვალუტის რეზერვებზე მოდის, 203.18 მლნ სავალუტო ფონდში სესხების სპეციალური უფლებებია (SDR). სსფ-ში სარეზერვო პოზიცია 13.900-ია.

აღსანიშნავია, რომ ივნისში ეროვნულმა ბანკმა ბაზარზე 4 ინტერვენცია განახორციელა და 70 მლნ დოლარი შეიძინა. სულ მიმდინარე წელს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე 89.7 მლნ დოლარი აქვს შეძენილი.



# რას ნიშნავს რუსული მარში

## რა თემებს ეძღვნება მარშები ევროპაში

მარიამ მჭედლიშვილი

საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა საქართველოში დაანონსებული ქართველთა მარშის მიმართ. მისი ძირითადი გაცხადებული მიზანი არალეგალური ემიგრაციისა და აზიელი ემიგრანტების დანაშაულებრივი საქმიანობის გაპროტესტებაა.

საქართველოში ამ აქციას ნაწილი ეჭვით უყურებს და რუსეთის გეგმის ნაწილად მიიჩნევს, ზოგი კი აცხადებს, რომ მსგავსი მარშები ევროპის ქვეყნებშიც იმართება.

ევროპის არაერთ ქვეყანაში გაიმართა მარშები, მათ შორის, ახლოაღმოსავლელი მიგრანტების წინააღმდეგ. თუმცა, მსვლელობები და მარშები ევროპაში მხოლოდ ნაციონალისტურ ან ანტიმიგრაციულ ხასიათს არ ატარებს.

მიგრანტების მოზღვავებამ ევროპაში ხელი შეუწყო ნაციონალიზმის აღორძინებას ბევრ სახელმწიფოში. ნაციონალისტებმა ბოლო წლებში არაერთი მარში თუ სხვა აქცია გამართეს.

ნაციონალისტმა მარინ ლე პენმა ვერ გაიმარჯვა საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში, თუმცა ექსპერტები საფრანგეთში ნაციონალიზმის დასამარებაზე საუბარს ჯერ ნაადრევად მიიჩნევენ.

ევროპაში ნაციონალიზმის გაძლიერების საფრთხეზე მუდმივად საუბრობენ ამერიკელი ანალიტიკოსები. ისინი დარწმუნებული არიან, რომ რადიკალების წახალისება ევროპაში რუსეთიდან ხდება.



პოლონეთი ნატოს ერთ-ერთი სერიოზული საყრდენია ევროპაში. მიუხედავად ამისა, ნატოს სამიტის დროს, შარშან, ვარშავაში გაიმართა მარშები ნატოს წინააღმდეგ. მარშის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ეწინააღმდეგებიან ომის გაჩაღების ნებისმიერ მცდელობას. პოლონეთში გამართულა მარშები მიგრანტების მიღებისა და განთავსების წინააღმდეგ, ასევე სკოლებში „პორნოგაკვეთილების“ აკრძალვის მოთხოვნით.

ანტიმიგრაციული აქციების გარდა, ევროპაში ევროკავშირის შენარჩუნების იდეითაც გამოდიან – წელს, მარტში, გერმანიაში გაიმართა ხალხმრავალი მარში ერთიანი ევროპის მხარდასაჭერად. ამისთვის ამ ქვეყანაში მოქალაქეები სხვა სახელმწიფოებიდანაც ჩავიდნენ. „დავიცვათ ადამიანის უფლებები ევროპაში“, „ჩვენ კონფრონტაციისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგი ვართ“, „არა – პოპულიზმსა და ნაციონალიზმს“ – ასეთი იყო ამ მარშის სლოგანები.

ბულგარეთში დამკვიდრებულ მარშს ნაციონალისტური სახე აქვს. იგი ნაციონალისტი გენერლის, ქრისტო ლუკოვის სახელს ატარებს.

2005 წლიდან ტრადიციული გახდა რადიკალურ-ნაციონალისტური „რუსული მარში“ რუსეთში. იგი ყოველწლიურად 4 ნოემბერს, ეროვნული ერთიანობის დღეს იმართება რუსეთის სხვადასხვა ქალაქში.

2016 წლის ნოემბრის მარშის დროს აქტივისტებმა მოითხოვეს პუტინის გადადგომა და პოლიტიკური რეპრესიების შეწყვეტა. მარშის ტრადიციული ლოზუნგებია: „რუსი ხალხის უფლებებისა და თავისუფლებისათვის“, „ძირს ქურდების და ჩეკისტების ხელისუფლება“.

რუსული მარშის წევრები, როგორც წესი, გამოდიან არალეგალი მიგრანტების წინააღმდეგ. ასეთებად ისინი ასახელებენ კავკასიელებსა და შუააზიელებს. მარშის საორგანიზაციო კომიტეტის მტკიცებით, კრემლი უკონტროლო ემიგრაციით აღვივებს ეთნიკურ კონფლიქტებს, არალეგალი იაფი მუშახელის ხარჯზე კი მდიდრდებიან არაკეთილსინდისიერი დამსაქმებლები.

რუსული სათვისტომო რუსულ მარშებს რუსეთის ფარგლებს გარეთაც მართავს, მაგალითად, ყაზახეთში. გარდა ამისა, რუსეთში, ბელარუსსა და სხვა ქვეყნებში იმართება საერთო სლავური ან მართლმადიდებელი სლავების მარშები.

არ არის გამორიცხული, რომ ვიღაცას „ქართული მარშის“ ტრადიციად ქცევაც უნდოდეს.

## „შორენა თეთრუაშვილი იძლეოდა ბრძანებებს, რომლებსაც თვითონვე უარყოფდა“

### რა ჩვენება მისცა პატრიარქის დაცვამ სასამართლოს

საქალაქო სასამართლოში ბრალდებული დეკანოზის საქმის განხილვა დახურულ კარს მიღმა 7 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

ე.წ. ციანიდის საქმეზე ბრალდებულის ადვოკატი გიორგი ფანცულაია აცხადებს, რომ მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები სიტყვასიტყვით დაემთხვა იმ ჩვენებას, რომელიც დეკანოზ გიორგი მამალაძეს აქვს მიცემული გამოძიებისთვის.

სასამართლოზე პატრიარქის დაცვის რამდენიმე თანამშრომელი დაიკითხა. გიორგი ფანცულაიას განცხადებით, დაცვის თანამშრომლებმა პატრიარქის მდივან-რეფერენტის შორენა თეთრუაშვილისა და სასულიერო პირების ურთიერთობასა და საპატრიარქოში არსებულ სიტუაციაზე ისაუბრეს.





ადვოკატის ინფორმაციით, მოწმეებმა პროცესზე განაცხადეს, რომ შორენა თეთრუაშვილს არაერთხელ გაუცია ისეთი ბრძანება და მითითება, რომელიც შემდგომ თვითონვე უარუყვია.

– პატრიარქის დაცვის რამდენიმე თანამშრომელი დაიკითხა. აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ შორენა თეთრუაშვილს არაერთხელ გაუცია ისეთი ბრძანება და მითითება, რომელიც შემდგომ თვითონვე უარუყვია. დღეს გაჟღერებული თემები სიტყვასიტყვით ემთხვეოდა დეკანოზის მიერ მიცემულ ჩვენებას, რაზეც პროკურორი გამოდიოდა წყობიდან, მაგრამ გვიწევდა მათი დამშვიდება. დაცვის ბიჭები ყველაფერს ისე ადასტურებდნენ, როგორც მამალაძის 60-ფურცლიან ჩვენებაშია ნათქვამი, – აღნიშნა დაცვის მხარის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

გიორგი ფანცულაიას განცხადებით, დაცვის თანამშრომლებმა ისაუბრეს, თუ რატომ ჩადიოდა დეკანოზი გერმანიაში და რა მოლოდინი ჰქონდა.

– დაცვის თანამშრომლებმა ისაუბრეს, რა ურთიერთობები იყო საპატრიარქოში შორენა თეთრუაშვილსა და სასულიერო პირებს შორის, რა ურთიერთობები იყო მეუფე იაკობსა და სოსო ოხანაშვილს შორის, რა ხდებოდა შორენა თეთრუაშვილსა და მეუფე იაკობს შორის და ა.შ. დაცვის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მათ ხშირად სამივლინებო თანხა არ გააჩნდათ და დეკანოზი გიორგი მამალაძე ხშირად ეხმარებოდა მათ ფინანსურად, – განაცხადა ფანცულაიამ.

## „ირაკლი ფირცხალავასა და გიორგი ცააძის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ არის“

– ირაკლი ფირცხალავასა და გიორგი ცააძის სიცოცხლე ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ არის.




ამის შესახებ ირაკლი ფირცხალავას მეუღლე ნინო ხვიტიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც ნინო ხვიტიამ აღნიშნა, არც მისი მეუღლე და არც გიორგი ცააძე „არაფრის დათმობას არ აპირებენ“.

– კრიმინალთან მებრძოლი დამსახურებული პოლკოვნიკები და ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურების მქონე ადამიანები სასიკვდილოდ იწირებიან. ჩემი მეუღლე ამბობს – ან მათი ტყუილი გაიმარჯვებს, ან ჩვენი სიმართლეო. სიცოცხლის ბოლო წუთამდე იბრძოლებს, არ დათმობს და, თუ შეეწირება, პირველ რიგში პასუხს აგებს იუსტიციის მინისტრი წულუკიანი, კრიმინალებისთვის ძეგლის დადგმის ავტორი, რომლის ინტერესებში შედის ჩემი მეუღლის ასეთი დასჯა.

ჩემი მეუღლისა და გიორგი ცააძის სიცოცხლე ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ არის. ზუსტად ვიცი, ისინი არ დათმობენ და ჩვენც არანაირ პოზიტიურ შედეგებს მათ მოთხოვნებზე არ ველოდებით, – განაცხადა ირაკლი ფირცხალავას მეუღლემ.

გიორგი ცააძის დამ, ირინა ცააძემ კი აღნიშნა, რომ თუ გიორგი ცააძისა და ირაკლი ფირცხალავას მოთხოვნებზე გამოძიებას არ დაიწყებენ, ისიც შიმშილობას დაიწყებს.

– მე კიდევ ვიმედოვნებ, რომ შოთაძის უწყება დაიწყებს გამოძიებას ამ ცრუ მოწმეებზე. თუ არ დაიწყებენ გამოძიებას, მეც დავიწყებ შიმშილობას ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად, – განაცხადა ირინა ცააძემ.

ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე მსჯავრდებულები ირაკლი ფირცხალავა და გიორგი ცააძე მეოთხეა დღეა შიმშილობენ. ისინი ითხოვენ, ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე სპეცრაზმელების ჩვენებები გაბათილდეს. ამის მიზეზად სახელდება ის ფაქტი, რომ ჩვენების მიცემამდე სპეცრაზმელები ერთ საკანში იყვნენ მოთავსებული. მოშიმშილეები ასევე ითხოვენ მოწმეების – გოგატიშვილისა და მირიანაშვილის საქმეზე გამოძიებას, რადგან მიიჩნევენ, რომ მათ სასამართლოს ცრუ ჩვენება მისცეს.

## მორიგი ყაჩაღობა სამეგრელოში – ბოროტმოქმედები მოქალაქეს სასტიკად გაუსწორდნენ

ადგილობრივები ყაჩაღობის გახშირებულ ფაქტებზე საუბრობენ და დახმარებას ითხოვენ. მათი თქმით, სოფელში გარკვეული კრიმინალური დაჯგუფება არსებობს, რომლებიც, სავარაუდოდ, ადგილობრივები არიან.




ყაჩაღობა მოხდა ხობის რაიონ სოფელ ხიბულაში. კვირკვაიების ოჯახში 2 ნიღბიანი შეიჭრა და შუახნის მამაკაცს სასტიკად გაუსწორდა. გიმზერ კვირკვაია „ნიუპოსტთან“ აცხადებს, რომ ბოროტმოქმედებმა ის ეზოში დაიჭირეს და სახლში იარაღის მუქარით შეიყვანეს.

ნიღბიანები გარკვეულ თანხას ითხოვდნენ. როგორც დაზარალებული ჰყვება, ოჯახმა წინა დღეს 1 ტონამდე თხილი გაყიდა, რომელიც ავადმყოფი შვილის მკურნალობისთვის კლინიკას იმავე დღეს გადაურიცხა.

კვირკვაიები აღნიშნავენ, რომ ყაჩაღები სწორედ ამ თანხას ითხოვდნენ, მას შემდეგ კი რაც გადახდის ქვითარი ვერ წარმოადგინეს, მამაკაცს დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში ურტყამდნენ. გიმზერ კვირკვაიას დაზიანებები თავის არეში აღენიშნება.

საბოლოო ჯამში, ოჯახიდან 200 ლარამდე თანხა და ძვირფასეულობა წაიღეს. სოფელში კრიმინალი შემთხვევებზე საუბრობენ. მათი თქმით, კვირკვაიების დაყაჩაღება რიგით მეოთხე შემთხვევაა. დაზარალებულების მეზობელი ჯანსულ ჯიშკარიანი „ნიუპოსტთან“ აცხადებს, რომ მიმდინარე წლის აპრილში 5 ნიღბიანი მასაც დაესხა თავს. ბოროტმოქმედები ჯიშკარიანისგან იმ თანხას ითხოვდნენ, რომელიც, მათი ინფორმაციით, ოჯახმა მიწის ნაკვეთის გაყიდვის შედეგად მიიღო.

ხიბულას კიდევ ერთი მკვიდრი, ხაბურძანია აღნიშნავს, რომ 10 აპრილს მასაც გაუსწორდნენ ფიზიკურად და სახლიდან ოქროულობა და 300 ლარამდე თანხა წაიღეს.

მოსახლეობა სამართალდამცავებს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს. მათი თქმით, სოფელში გარკვეული კრიმინალური დაჯგუფება არსებობს, რომლებიც, სავარაუდოდ, ადგილობრივები არიან.

რაც შეეხება კვირკვაიების დაყაჩაღების ფაქტს, შს სამინისტროში „ნიუპოსტს“ უთხრეს, რომ ბრალდებულების დასაკავებლად სამძებრო ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით დაიწყო, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

## ანა მარგველაშვილი: „დარწმუნებული ვარ, თორნიკე კაჭარავასაც გაამართლებენ“



საქართველოს პრეზიდენტის შვილის მეგობარი მიხეილ თათარიშვილი საქალაქო სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო.

ნარკოტიკების შეძენა-შენახვის საქმეზე მოსამართლე გიორგი დარახველიძემ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

პრეზიდენტის ქალიშვილი აცხადებს, რომ იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ მოსამართლე გამამართლებელ განაჩენს გამოიტანდა, რადგან იგი უდანაშაულო იყო, ისევე, როგორც თორნიკე კაჭარავა.

– დარწმუნებული ვიყავი, რომ გამამართლებელი განაჩენი დადგებოდა, რადგან ის იყო უდანაშაულო, ისევე როგორც თორნიკე კაჭარავა, ჩემი მეგობარი, არის უდანაშაულო. დარწმუნებული ვარ, რომ მასაც გაამართლებენ უახლოეს მომავალში, – აცხადებს ანა მარგველაშვილი.

# „ვერ ვიტყვი, რომ აღდგენილი რძით დამზადებული ყველი საშიშია“

პირველი ივლისიდან რძის ფხვნილით ყველის დამზადება აიკრძალა. ცვლილებებს რძისა და რძის ნაწარმის ტექნიკური რეგლამენტი ითვალისწინებს, რომლის თანახმადაც, ყველი მხოლოდ ნედლი, ნატურალური რძისგან უნდა იწარმოებოდეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი „ბანკები და ფინანსები“ ქართული ყველის სახლის დამფუძნებელ **ანა მიქაძეს** დაუკავშირდა

***– ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ახსენეთ, რომ ქართული რძე მასტიტითა და ბრუცელოზითაა სავსე. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია მსგავსი პრობლემის არსებობა საქართველოში?***

– ეს პრობლემა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. მოგეხსენებათ, რძე არის ბიოლოგიური პროდუქტი. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იჩენს თავს. არ აქვს მნიშვნელობა რომელი ცხოველი იქნება, თხა, კამეჩი თუ ძროხა შესაძლებელია მოწველის დროსაც კი შეცდომების დაშვება. მწველავს არასწორი მოძრაობით შეუძლია საწველი აპარატი დააზიანოს, რის შედეგადაც, ჩნდება მსგავსი სახის პრობლემები.

თუმცა, მთავარი საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ უმკლავდებიან ესა თუ ის ქვეყნები ამ პრობლემას. მთავარია სურსათის უვნებლობის სამსახურების სიფხიზლე. პირუტყვი რეგიონების მიხედვით უნდა აღიწეროს და მოხდეს მათი იდენტიფიკაცია, რასაც შესაბამისი სამსახურები უკვე 4-5 წელია აკეთებენ. თუ სურსათის უვნებლობის დეპარტამენტი მოინდომებს, ძალიან მარტივად ჩავა ნებისმიერ სოფელში და აიღებს ძროხებიდან სისხლის ანალიზს, რითიც დააფიქსირებს არის თუ არა რაიმე სახის პრობლემა ამა თუ იმ რეგიონში.

ასე უფრო მარტივი ხდება დაავადებული პირუტყვის იდენტიფიკაცია. უმეტესად მსგავსი სახის პრობლემა ზამთარში გვხვდება, რადგან პირუტყვი ჩაკეტილია ერთ სივრცეში და იქ ადვილია ნებისმიერი სახის დაავადების გავრცელება. რაც შეეხება ზაფხულს – როდესაც პირუტყვს მზე, სუფთა ჰაერი და შედარებით ჯანსაღი გარემო აქვს, ცხოველის დაავადების შანსი გაცილებით ნაკლებია.

რაც შეეხება შემოწმებას, ეს მუდმივი პროცესია. არც შვეიცარიაში, არც საფრანგეთში და საერთოდ არც ერთ ქვეყანაში არავინ არის მოდუნებული და პირიქით, მინდა ვთქვა, რომ აქტიურად არიან შემოწმებით დაკავებულნი.

***– რამდენად სუფთა პროდუქტია და რამდენად არის ჰიგიენის ნორმები დაცული ბაზრებზე? ხშირად ამოწმებენ თუ არა პროდუქციის ვარგისიანობის ხარისხს?***

– მე, როგორც ჩვეულებრივი მეწარმე, მსგავსი სახის ინფორმაციას არ ვფლობ. ამაში სურსათის უვნებლობის დეპარტამენტი უკეთა არის გარკვეული. რაც შეეხება ფერმებში სანიტარიული ნორმების დაცვას, ჩვენ გვაქვს რამდენიმე მაღალორგანიზებული ფერმა. მაგალითად, ფერმა „მარგებელი“, „ყვარლის ბაგა“ და სხვები. ესენი ნამდვილად სანიმუშო ფერმებია და მანდ უკვე ნამდვილად კარგად არის დაცული მაღალი სტანდარტები. თუმცა, ნამდვილად არ ვიცი, რა ხდება საგლეხო მეურნეობებში. ამ ინფორმაციაზე მე ხელი არ მიმიწვდება.



***– თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ რეალურად სუფთა რძე და ყველი გაიყიდოს ბაზრებში?***

– ყველა ადამიანი, სახელმწიფოც და მეწარმეც ჩაბმული უნდა იყოს ამ ჯაჭვში. ფერმერმა უნდა მოუაროს საკუთარ ფერმას, დაიცვას სისუფთავე და ჰიგიენის ნორმები, მიაქციოს ყურადღება პირუტყვის ჯანმრთელობას. მეწარმე, რომელიც რძეს წამოიღებს ვალდებულია დაიცვას ყველა სტანდარტი, რაც მას კანონმდებლობით მოეთხოვება. ბოლოს, როცა ყველაფერი უკვე სავაჭრო დახლებამდე მიდის ადამიანები რომლების შეფუთვაზე არიან ორიენტირებულნი ვალდებულნი არიან ისე შეფუთონ, რომ პროდუქტი არ მოხვდეს დაზიანებულ და დაბინძურებულ მდგომარეობაში. ხელით არ შეეხოს ადამიანი ზედმეტად. მოგეხსენებათ, რომ ყველი ძალიან ნაზი და ფაქიზი პროდუქტია.

არსებობს „ჰასპის“ სტანდარტი – რომელიც მიუთითებს თუ სად და რომელ რგოლში მოისუსტებს ესა თუ ის პროცესი, როცა საქმე გასაყიდ და შესაფუთ პროდუქტს ეხება. აუცილებელია, რომ „ჰასპის“ სტანდარტი დაინერგოს ყველგან: ფერმებში, სავაჭრო მოედნებზე და სუპერმარკეტებში. ნებისმიერი მომხმარებელი იმ დონეზე უნდა იყოს ინფორმირებული, რომ თავადაც უნდა იცოდეს თუ რა მოსთხოვოს სავაჭრო მოედანს.

***– თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, ბაზარზე რძის ფხვნილით დამზადებული ყველის გაყიდვა აიკრძალება?***

– ყველის გაყიდვა არ აიკრძალება, უბრალოდ, თუ ის იქნება რძის ფხვნილზე დამზადებული, მაშინ მას ყველი აღარ ერქმევა. აიკრძალება სახელის დარქმევა, თუ ის არ იქნება ცხოველური რძით დამზადებული.

***– საინტერესოა, რას გამოიწვევს აღნიშნული ცვლილება რძის პროდუქტების ბაზარზე. მოსალოდნელია თუ არა, რომ ეკოლოგიურად სუფთა ყველის გაყიდვები გაიზარდოს და, შესაბამისად, გახდის თუ არა აღნიშნული ცვლილებები ბაზარს უფრო მეტად დაცულს?***

– ჩვენ ქვეყანაში რძის პროდუქტებზე მოთხოვნა ძალიან მაღალია. შესაძლოა, საქართველო პროცენტულად ყველაზე მეტ რძის პროდუქტებსაც კი მოიხმარდეს. რაც შეეხება ფხვნილზე დამზადებულ რძეს და სხვა პროდუქტებს, ესა არის აღდგენილი რძე. მსგავსი სახის რძე თავისთავად არ წარმოადგენს არანაირ საშიშროებას, უბრალოდ თუ მას დავუმატებთ მცენარეულ ცხიმს და არ დავიცავთ დოზებს, შესაძლოა ეს ვილაცისათვის ან მიუღებელი იყოს ან მისი ჯანმრთელობისათვის დიდად არ იყოს მიზანშეწონილი. ამიტომაც სახელმწიფო ავალდებულებს ფხვნილზე მომუშავე მეწარმეებს, რომ მათ ეტიკეტზე დაიტანონ სწორი ინფორმაცია. თუ მწარმოებელი გამოიყენებს აღდგენილ რძეს, მან ეს უნდა მიუთითოს. რა პროდუქტში და რა სახით, ყველაფერზე წარწერა უნდა გაკეთდეს.

რაც შეეხება განსხვავებას ფხვნილისა და ნატურალურ რძეს შორის, ნატურალურ რძეზე დამზადებული პროდუქტი ძალიან დიდხანს ძლებს. მაგალითად, კანიანი ყველის ვარგისიანობის ხანგრძლივობა 2-3 წელია. თუმცა, აღდგენილ რძეზე დამზადებული ყველის ვარგისიანობა მაქსიმუმ 2 კვირას მოიცავს. განსხვავება ესაა, ამიტომაც ვერ ვიტყვი, რომ აღდგენილი რძით დამზადებული ყველი საშიშია.

სახელმწიფომ სწორად გადადგა ნაბიჯი ამ კონტროლის დაწესებისას და მე დარწმუნებული ვარ, რომ საქმეს ბოლომდე მიიყვანს და არ გაჩერდება. ყველაფერს დაერქმევა თავისი სახელი, რის შედეგადაც, მოგებული რჩება ისევ და ისევ მომხმარებელი და ფერმერი, რომელსაც მოგება დაეხმარება, უკეთ განავითაროს ბიზნესი.

# საქართველოში პოლიეთილენის პარკების მოხმარება 2018 წლიდან აიკრძალება

საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის განხილვა დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში პლასტიკის პარკების მოხმარების შემცირებისთვის სამართლებრივი რეგულაციების შემოღებას.

როგორც „კომერსანტს“ გარემოს დაცვის სამინისტროდან აცნობეს, აღნიშნული რეგულაციების შემოღების აუცილებლობა განაპირობა ქვეყანაში პლასტიკის პარკების მოხმარების მკვეთრმა ზრდამ, რამაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი პრობლემა შეუქმნა გარემოს. როგორც ცნობილია, გარემო ყველაზე მეტად სწორედ პლასტიკისგან დამზადებული პროდუქციის ნარჩენებით ბინძურდება, განსაკუთრებით ეს ეხება ერთჯერად პლასტიკის პარკებს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდ გამოიყენება. ამასთან, პლასტიკის პარკი წარმოადგენს ნავთობპროდუქტებისა და ნარჩენი პლასტიკური ნივთიერებების გადამუშავებით მიღებულ პროდუქტს, რომლის სრულდაშლას 100 წელზე მეტი ჭირდება. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში ერთი მოქალაქე, საშუალოდ, წელიწადში 525 ერთჯერად პლასტიკის პარკს მოიხმარს, ხოლო მაგალითად, ირლანდიაში აღნიშნული



საშუალო მაჩვენებელი არის 14 პლასტიკის პარკი, დანიასა და ფინეთში კი მხოლოდ 4.

ვინაიდან პლასტიკის პარკების მოხმარება წარმოადგენს გლობალურ პრობლემას, მრავალმა ქვეყანამ შეიმუშავა გარკვეული რეგულაციები მათი მოხმარების შესამცირებლად. პლასტიკის პარკების მოხმარებაზე რეგულაციები დაწესდა არა მხოლოდ განვითარებულ, არამედ, განვითარებად ქვეყანებშიც. ევროპის ბევრ ქვეყანაში დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები პლასტიკის პარკების გამოყენებასთან დაკავშირებით, ზოგიერთ ქვეყანაში სრულიად აკრძალულია პლასტიკის პარკების გამოყენება, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა პლასტიკის პარკების მოხმარება და შედეგად, ნეგატიური ზეწოლა გარემოზე.

აღნიშნული გარემოებებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მომზადდა „ნარჩენების მართვის კოდექსში“ ცვლილებების პროექტი და გათვალისწინებულია ტექნიკური რეგლამენტის მიღება, რომლითაც დაწესდება შეზღუდვები გარკვეული სისქის პლასტიკის პარკების ბრუნვაზე. პირველ ეტაპზე, აიკრძალება 15 მიკრონზე ნაკლები პლასტიკის პარკების იმპორტი/წარმოება და რეალიზაცია, ასევე დადგინდება ტექნიკური მოთხოვნები ბიოდეგრადირებადი პარკის შემადგენლობის მიმართ. აღნიშნულთან ერთად, მომზადდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების პროექტი რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განისაზღვრება პლასტიკის ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტის, წარმოების ან/და რეალიზაციისას ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევა, რაც გამოიწვევს მეწარმე სუბიექტის დაჯარიმებას 500 ლარით, შესაბამისი პროდუქციის კონფისკაციით.

რეგულაციების შემოღების თაობაზე სამინისტროში წინასწარ გაიმართა კონსულტაციები საქართველოში პლასტიკის პარკების ძირითად მწარმოებლებთან, იმპორტიორებთან, რეალიზატორებთან და მათი მხრიდან გამოითქვა მზაობა აღნიშნულ სფეროში რეგულაციების შემოღებასთან დაკავშირებით.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, მეწარმეებს საკუთარი საქმიანობის ახალ რეგულაციებთან ადაპტაციისთვის დასჭირდებათ გარკვეული ღონისძიებების გატარება, სწორედ ამიტომ კანონპროექტების ძალაში შესვლა გათვალისწინებულია 2018 წლის განმავლობაში.

ახალი რეგულაციების მიღების შედეგად ქვეყანაში შემცირდება პლასტიკის პარკების მოხმარება, ასევე, უზრუნველყოფილი იქნება ევროსტანდარტების შესაბამისი ბიოდეგრადირებადი პარკების ბრუნვა, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვნად შეამცირებს გარემოს დაბინძურებას პლასტიკის ნარჩენებით და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პოლიეთილენის პარკების შესაძლო აკრძალვასთან დაკავშირებით „კომერსანტი“ 2016 წლის სექტემბრიდან წერდა. მაშინ გარემოს დაცვის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის უფროსი ალვერდ ჩანქსელიანი აცხადებდა, რომ საკმაოდ რთული იყო ბაზარზე ამა თუ იმ პროდუქტის ერთბაშად აკრძალვა, ამიტომ მთავრობას ყველა მხარის ინტერესი უნდა გაეთვალისწინებინა, მათ შორის, ბიზნესის.

უფრო მოგვიანებით, 2017 წლის მარტში კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ კანონი ძალაში 2017 წლის სექტემბრიდან შევიდოდა და იმ პერიოდისთვის 10 მიკრონზე ნაკლები სისქის პლასტიკის პარკების წარმოება, რეალიზაცია და იმპორტი აიკრძალებოდა. სხვა ზომის პლასტიკის პარკები აკრძალვა კი ეტაპობრივად მოხდებოდა.

# სოციალური განვითარების რეიტინგში საქართველო 53-ე ადგილზეა

სოციალური განვითარების რეიტინგში საქართველოს მსოფლიოს 128 ქვეყანას შორის 53-ე ადგილი უკავია.

კვლევა ამერიკულმა ორგანიზაციამ Social Progress Imperative-მა კომპანია Deloitte-ის მხარდაჭერით განახორციელა.

რეიტინგი დაყოფილია რამდენიმე კატეგორიად ძალიან მაღალი სოციალური განვითარების ქვეყნებად, მაღალი სოციალური განვითარების ქვეყნებად, საშუალოზე მაღალი სოციალური განვითარების ქვეყნებად, საშუალოზე დაბალი სოციალური განვითარების ქვეყნებად, დაბალი სოციალური განვითარების ქვეყნებად და ძალიან დაბალი სოციალური განვითარების ქვეყნებად. საქართველო საშუალოზე მაღალი სოციალური განვითარების ქვეყნებს მიეკუთვნება.

საქართველო მნიშვნელოვნად უსწრებს აზერბაიჯანს, თურქეთს, რუსეთს, სომხეთს.

ინდექსის მიხედვით, საქართველოს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს ადამიანური საბაზისო საჭიროებების მაჩვენებელში, რომელიც მოიაზრებს საკვებისა და ჯანდაცვის, თავშესაფრის ხელმისაწვდომობას, პერსონალურ უსაფრთხოებას, ასევე მოწინავე პოზიციებზეა კეთილდღეობის კრიტერიუმის თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში ქვეკრიტერიუმია განათლების, ინფორმაციასა და კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობა. შედარებით დაბალი მაჩვენებლები აქვს პიროვნულ თავისუფლებას და არჩევანის თავისუფლების, ასევე ჰომოსექსუალებისა და ემიგრანტებისადმი ტოლერანტობის კრიტერიუმში.

სოციალური განვითარების ინდექსი ეს




არის ქვეყნების სოციალური განვითარების მაჩვენებელი ეკონომიკური ფაქტორებისგან დამოუკიდებლად. ინდექსი მოიცავს სოციალური განვითარების ისეთ ინდიკატორებს როგორიცაა ადამიანის საბაზისო მოთხოვნები, კეთილდღეობა და შესაძლებლობები.

რეიტინგში დანია ლიდერობს, მაღალი სოციალური განვითარების კარგი შეფასებები აქვთ ფინეთსა და ისლანდიას. ათეულში მოხვდა ნორვეგია, შვეიცარია, კანადა, ჰოლანდია, შვედეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია.

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას, ავღანეთს, ჩადს, ანგოლას, ნიგერიას, გვინეას, იემენს.



## მექსიკის ციხეში 5 პატიმარს თავი მოაჭრეს

მექსიკაში, ქალაქ აკაპულკოს ციხეში, პატიმრებს შორის მომხდარ დაპირისპირებას მინიმუმ 28 ადამიანი ემსხვერპლა. გავრცელებული ცნობით, 5 მათგანს თავი მოაჭრეს.

ბიბისის ცნობით, ციხეში არეულობა გამთენიისას დაიწყო, ერთმანეთს ციხეში არსებული პატიმრების ორი დაჯგუფება დაუპირისპირდა, რომლებიც ცივი იარაღებით იყვნენ შეიარაღებულნი.

ვითარების განსამუხტად ადგილზე პოლიცია და სპეცრაზმი გამოიძახეს. ამ დროისთვის სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

უცნობია, რა გახდა დაპირისპირების მიზეზი.

## ფილიპინებზე ძლიერი მიწისძვრა მოხდა



ფილიპინებზე ძლიერი, 6.9 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

მიწისძვრას ძლიერი ნგრევა მოჰყვა. გავრცელებული ცნობით, დაღუპულია ერთი და დაშავებულია ათობით ადამიანი.

დაზიანებულია ელექტროგადამცემი ხაზები, მიწისძვრის ეპიცენტრი ფილიპინების დედაქალაქ მანილადან 600 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა.

## თურქეთში უფლებადამცველები დააკავეს




8 დაკავებულს შორის არის საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია ამნესტი ინტერნატიონალ-ის თურქული ბიუროს ხელმძღვანელი იდილ ესერიც. სამართალდამცველებმა ისინი სტამბულში ჩატარებული რეიდის დროს აიყვანეს. ერთ-ერთი ვერსიით, დაკავება ერთ-ერთ სასტუმროში მოხდა, სადაც უფლებადამცველების კონფერენცია მიმდინარეობდა.

უცნობია მათი ადგილსამყოფელიც. ცნობილია, რომ დაკავებულებს შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც არიან.

ჯერჯერობით უცნობია, რაში ედებათ ბრალი დაკავებულებს.

ამნესტი ინტერნატიონალ-მა განცხადება გაავრცელა და დაკავებული უფლებადამცველის დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა.

## ფილიპინების პრეზიდენტი: „მე თქვენს ღვიძლს შევჭამ, უბრალოდ, ცოტა მარილს და ძმარს დავამატებ“



ფილიპინების პრეზიდენტი როდრიგო დუტერტე ტერორისტებს განადგურებით კვლავ ემუქრება, თუმცა ამჯერად მათ შეჭმით აშინებს.

– მე თქვენს ღვიძლს შევჭამ, თუ ასე გსურთ. უბრალოდ, ცოტა მარილს და ძმარს დავამატებ და პირდაპირ თქვენ თვალწინ შევჭამ, – განაცხადა დუტერტემ.

ფილიპინების პრეზიდენტი შეჭმით „აბუ საიფის“ ტერორისტებს დაემუქრა, რომლებმაც ვიეტნამელი მეზღვაური სიკვდილით დასაჯეს.

„აბუ საიფი“ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერი ტერორისტული დაჯგუფებაა.

დუტერტეს თქმით, უცხო ქვეყნის მოქალაქის სიკვდილით დასჯა, ქვეყნის სირცხვილია.

დუტერტე ფილიპინების პრეზიდენტად 2016 წლის 30 ივნისს აირჩიეს და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ნარკომაფიასთან და ტერორისტებთან ბრძოლა გამოაცხადა, რის შემდეგაც ქვეყანაში 5 900-ზე მეტი ადამიანი მოკლეს.

ერთ-ერთ შეხვედრაზე კი განაცხადა, რომ ქალაქ დავაოს მერის თანამდებობაზე ყოფნისას, ნარკოტიკების გავრცელებასთან კავშირში ეჭვმიტანილები პირადად მოუკლავს.

– დავაოში ამას მე თვითონ ვაკეთებდი. მე მსურდა მეჩვენებინა პოლიციისთვის, რომ თუ ამის გაკეთება შემიძლია მე, მაშინ რატომ არ შეუძლიათ მათ? დავდიოდი მოტოციკლით, უბრალოდ ვპატრულირებდი ქუჩებში, ვეძებდი პრობლემებს, რათა მოკვლის საშუალება მქონოდა, – განაცხადა როდრიგო დუტერტემ.

## აშშ-ის სახელმწიფო მდივანი NASA-ში შეეხო რაკეტას, რომელსაც ეწერა „არ შეეხოთ“




აშშ-ის პრეზიდენტი მაიკ პენსი აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულ სამმართველოში იმყოფებოდა.

NASA-ს კენედის ცენტრში პენსმა ახალი თაობის რაკეტები დაათვალიერა, რომელთა კოსმოსში გაგზავნასაც გეგმავს ნასა 2019 წელს.

რაკეტების დათვალიერებისას ფოტოგრაფებმა დააფიქსირეს კადრი, როგორ შეეხო აშშ-ის სახელმწიფო მინისტრი მოწყობილობას, რომელსაც აწერია – „არ შეეხოთ“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვალერი ურიდია:** საახალწლო სამზადისის დროს მივიღე მე-3 ხარისხის დამწვრობა. მივმართე საავადმყოფოს. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ძალიან დამიმძიმდა. გვირჩიეს ლამარა თოდუას მალამო. პირველი პროცედურის შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი ნელ-ნელა ქრებოდა. სამი პროცედურის შემდეგ ნორმალური ძილი და ჭამა შევძელი. ლამარა თოდუას მალამომ მთლიანად მომიშუშა დამწვარი ფეხები, ხელის მტევნები და სახე, ისე, რომ ნაწიბურც არ მემჩნევა.

**თამარ ხარხელი:** მყავს 78 წლის ლოგინს მიჯაჭვული დედა. გაუჩნდა ნაწოლები. მივმართე ლამარა თოდუას. მისმა მალამოებმა და ლოსიონმა დედაჩემს შვება მოჰგვარა და ორი კვირის მკურნალობის შემდეგ ნაწოლების ადგილზე სიწითლეც აღარ შეინიშნება.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ტრამპი: „რუსეთის ქმედება დესტრუქციულია“



აშშ-ის პრეზიდენტი მერკელს შეხვდა

ვარშავიდან ტრამპი გერმანიისკენ გაემგზავრა. ის ჩავიდა ჰამბურგში, სადაც დიდი ოცეულის სამიტი გაიმართა და გერმანის კანცლერ ანგელა მერკელს შეხვდა.

შეხვედრა ჰამბურგის ფეშენებელურ ოტელში შედგა.

აშშ-ის პრეზიდენტისა და გერმანიის კანცლერის საუბარი ერთ საათს გაგრძელდა. პრესკონფერენციაზე ტრამპმა განაცხადა, რომ თავის გერმანელ კოლეგასთან სრულ ურთიერთგაგებას მიაღწია.

– ჩვენ ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენის მიმართ ერთიანი პოზიცია გაგვაჩნია, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ განიხილეს უკრაინაში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ კორეაში შექმნილი მდგომარეობა. აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის პოლიტიკა დესტრუქციულია.

– ყირიმის ანექსია, ომის გაჩაღება დონბასში, სირიაში ასადის მხარდაჭერა – საერთაშორისო არენაზე დაძაბულობა ამის გამო შეიქმნა, – თქვა ტრამპმა.

მერკელი გაცილებით თავშეკავებული იყო. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ გერმანია-აშშ-ის პოზიციები მნიშვნელოვან საკითხებში ერთია, რაც დემოკრატიული სამყაროს ერთიანობას ნიშნავს.

– ახლა დემოკრატიული მსოფლიო ერთიანია, როგორც არასოდეს, – თქვა მერკელმა.

ტრამპის გამოთქმებს რუსეთის მიმართ კრემლის მყისიერი რეაქცია მოჰყვა. რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე პესკოვმა განაცხადა, რომ რუსეთის დადანაშაულება აგრესიაში არაობიექტურობაა.

– ჩვენ აშშ-თან პარტნიორობა გვსურს. ასეთი განცხადებები კი ამას ეჭვქვეშ აყენებს, – განაცხადა პესკოვმა.

## მოსკოვი: პოლიციამ ნავალნის პარტიის წევრს სცემა



მოსკოვში პოლიციამ ნავალნის პარტიის ოფისში ჩხრეკა ჩაატარა. შემდგომში შსს-მ განაცხადა, რომ ნავალნის პარტიამ შენობის იჯარასთან დაკავშირებით ხელშეკრულება დაარღვია.

შტაბში მყოფ ნავალნის პარტიის წევრებსა და პოლიციას შორის ხელჩართული შეტაკება მოხდა. ამ დროს სასტიკად გაილახა ნავალნის პარტიის წევრი ტუროვსკი. მას თავი გაუტეხეს. დაშავებული ტუროვსკი საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც ოპერაცია გაუკეთდა.

– პოლიციელები კატეგორიულად მოითხოვდნენ, რათა ტუროვსკისთვის მხოლოდ პირველადი დახმარება გაეწიათ და საავადმყოფოდან გაეწერათ, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

საავადმყოფოს მთავარი ექიმი ამას კატეგორიულად შეეწინააღმდეგა. ტუროვსკიც საავადმყოფოში დატოვეს.

## ლუკაშენკო უკრაინას ეწვევა

### მარია ზახაროვა: „ბელარუსს ჭკუა უნდა ვასწავლოთ“



ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო სამუშაო ვიზიტით უკრაინაში ჩავა. ვიზიტის ზუსტი თარიღი უცნობია. გაცხადებულია მხოლოდ ის, რომ ის ივლისში შედგება.

ლუკაშენკომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ უკრაინასთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება სურს.

– ჩემი მიზანია სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება, – განაცხადა მან.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, რამდენად მართალია, რომ პუტინმა ლუკაშენკოს შესთავაზა, უკრაინისთვის ტერიტორიული პრეტენზიები წაეყენებინა, ბელარუსის ლიდერმა უარყოფითად უპასუხა და დაამატა, რომ ჭკუათმყოფელი მეზობლებთან ურთიერთობების დალაგებას ცდილობს და არა გაფუჭებას.

– როცა მეზობელს ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებ, ეს იმას ნიშნავს, რომ ომზე მიდიხარ! ჭკუათამყოფელი ასე არასოდეს არ მოიქცევა! – თქვა ლუკაშენკომ.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, აპირებს თუ არა ბელარუსი, ბანდერელთა მოძრაობა დაგმოს, ლუკაშენკომ მიუგო:

– ბანდერელები ფაშისტები იყვნენ, ისევე, როგორც ფაშისტებს წარმოადგენენ მათი ბელარუსი დამქაშები ვიტიშკა კლიმოვიჩი, კუშელი და ა.შ. ჩვენთან, ბელარუსში, ბანდერელთა გაპიარება სისხლის სამართლის დანაშაულია და კანონით ისჯება.

ამავე დროს, ლუკაშენკომ ხაზი გაუსვა, რომ ამის გამო უკრაინასთან კონფლიქტს არ აპირებს.

– უკრაინელებმა უნდა გადაწყვიტონ, ვინ აღიარონ გმირად და ვინ – არა! ამის გამო კონფლიქტი სისულელეა! ჩვენ, ბელარუსები კი სულელები არა ვართ, – თქვა პრეზიდენტმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სიტყვებს მოსკოვის უაღრესად მწვავე რეაქცია მოჰყვა:

– თუკი ბელარუსი ჩვენი მოკავშირეა, ისმის კითხვა, რატომ სურს ბატონ ლუკაშენკოს მეგობრული ურთიერთობების დამყარება ქვეყანასთან, რომელიც რუსეთის მტერია?! ალბათ დადგა დრო, რათა ბელარუსთან ჩვენს ურთიერთობებს გადავხედოთ, – ეს სიტყვები რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელ მარია ზახაროვას ეკუთვნის.

## აბადი: „მოსული გათავისუფლებულია!“



ერაყის პრემიერმა აბადიმ განაცხადა, რომ ტერორისტები მოსულიდან განდევნეს, ხოლო ქალაქზე ერაყის დროშა აღიმართა.

– მსურს ჩვენს ჯარისკაცებს მადლობა გადავუხადო. მოსულთან გამარჯვებით ისლამური სახელმწიფოს განადგურება დაიწყო, – თქვა აბადიმ.

ამავე დროს, მსოფლიოს წამყვანი მედია აღნიშნავს, რომ მოსულში ბრძოლები გრძელდება.

– ტერორისტები ქალაქის ტერიტორიაზე ჯერჯერობით კვლავ არიან. მიმდინარეობს გამწმენდი ოპერაციები, – იტყობინება სი-ენ-ენი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



# როგორ ვმართოთ ორსულობა

ეკა ირემაშვილი

ორსულობის დადგომისთანავე ქალის ორგანიზმში ახალი სიცოცხლე იბადება. თითოეული დღე, კვირა და თვე მისი სწორად განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია.

როგორ ვმართოთ ორსულობა და რა გამოკვლევები უნდა ჩავიტაროთ იმისთვის, რომ მშობიარობამ ყოველგვარი გართულებების გარეშე ჩაიაროს, ამ თემებზე კლინიკა „ახალი სიცოცხლის“ სამეანო გინეკოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალექსანდრე დიაკონიძე საუბრობს.

**ალექსანდრე დიაკონიძე:**

– ორსულობის დროს პირველი უფასო ვიზიტის შემდეგ, 18-დან 20 კვირამდე ვადაში მეორე უფასო ვიზიტი უნდა განხორციელდეს. ამ დროს ორსულს უტარდება სისხლის საერთო ანალიზი და ეხოსკენირება. ამ ორ უფასო ვიზიტს შორის არის ერთ-ერთი რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ ორსულს 14-დან 16 კვირამდე უკეთდება შარდის საერთო ანალიზი. ეს მნიშვნელოვანი ანალიზია ორსულობის მართვის პერიოდში.



***– რა არის გლუკოზის ტოლერანტობის ტესტი?***

– ორსულობის 25-28 კვირაზე ტარდება გლუკოზის ტოლერანტობის ტესტის განსაზღვრა. ესეც ფასიანი კვლევაა, მაგრამ ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული რეკომენდაციაა.

ეს არის გლუკოზის ერთსაათიანი ტესტი. პირველი ტესტის დროს 50 მილილიტრ გლუკოზას ვასმევთ ორსულს უზმოზე და ერთი საათის შემდგომ ანალიზის პასუხს ველოდებით. თუ პირველივე ანალიზი ნორმაშია, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ გლუკოზის ტოლერანტობასთან არ გვაქვს საქმე. თუ მაღალი ციფრებია, მაშინ ვაკეთებთ სამსაათიან ტესტს. სამ საათში ერთხელ 100 გრამი გლუკოზის მიღების შემდგომ ვაკეთებთ ანალიზს და თუ რაიმე პათოლოგია აღმოჩნდა, შემდგომ ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ მეანთან ერთად ხდება ორსულობის მართვა.

***– კიდევ როდის ეკუთვნის ორსულს უფასო ვიზიტი?***

– ორსულობის 30-32 კვირაზე კვლავ უფასო სახელმწიფო ვიზიტი ეკუთვნის ორსულს. აქაც გათვალისწინებულია შარდში ცილის განსაზღვრა და სისხლში გემოგლობინის განსაზღვრა.

რეზუსუარყოფითი ქალბატონებისთვის, რომლებსაც თვითონაც რეზუსურაყოფითი აქვს და მეუღლეც რეზუსუარყოფითია, ანტისხეულების განსაზღვრა რეკომენდებული არ არის, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ დედაა რეზუსუარყოფითი, ჩვენ განვსაზღვრავთ ანტისხეულების ტიტრს და, შესაბამისად, რეკომენდაციით, რომელიც მოწოდებული გვაქვს, ვუკეთებთ ანტი დე ანტისხეულებს, რათა დავიცვათ ის იმუნიზაციისაგან და ახალშობილის თანდაყოლილი სიყვითლეების სხვადასხვა ფორმისაგან.

ორსულობის მეოთხე ვიზიტიც უფასოა. ორსულებს უტარდებათ მეან-გინეკოლოგის უფასო კონსულტაცია, სისხლის და შარდის ანალიზი და ხდება მასში ცილის განსაზღვრა.

***– რა უპირატესობა აქვს ფიზიოლოგიურ მშობიარობას?***

– თუ რამე პათოლოგია არ არის, სასურველია ორსულობა დასრულდეს ნაყოფის ბუნებრივი სამშობიარო გზების გავლით. ამ შემთხვევაში გვაქვს რეკომენდაცია ბე ჯგუფის სტრეპტოკოკის ანალიზის აღებაზე. ეს თავიდან აგვაცილებს ნაყოფის თანდაყოლილ სეფსისს. იმ შემთხვევაში,



თუ დადებითი ამოვიდა, მშობიარობის პროცესში კეთდება შესაბამისი ანტიბიოტიკოპროფილაქტიკა მშობიარობის დასრულებამდე. ეს ახალშობილისთვის სეფსისის თავიდან აცილებისთვის საკმაოდ წარმატებული შედეგია.

***– ორსულისთვის საკმარისია მხოლოდ მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია?***

– ორსული, რომელიც მოდის ანტინატალურ მეთვალყურეობაზე, მას არა მხოლოდ მეანგინეკოლოგის კონსულტაცია ესაჭიროება და, შესაბამისად, სტანდარტების ყველა კვლევის გაკეთება, არამედ არის რიგი პათოლოგიები. მათ შორის შაქრიანი დიაბეტი, ამისთვის აუცილებელია ენდოკრინოლოგთან ვიზიტი, არის ქვედა კიდურების ვენების ვარიკოზული დაავადების ხშირი შემთხვევები. განსაკუთრებით ზაფხულში ორსულები ამ პრობლემით მოგვმართავენ ძალიან ხშირად.

ჩვენ ინფორმაციას ორსულობის შესახებ ვაწვდით არა მხოლოდ ორსულებს, არამედ მათ პარტნიორებსაც. ისინი მშობელთა სკოლაში ერთნაირად იღებენ თეორიულ განათლებას იმის შესახებ, თუ რა არის ორსულობა, რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს ამ პროცესს, რა უპირატესობა აქვთ მშობიარობის დროს ეპიდურალურ გაუტკივარებას, ბებია ქალი სწორ სუნთქვით ვარჯიშებს, ტკივილების შემსუბუქების სხვადასხვა გზებს ასწავლის. წყვილმა უნდა იცოდეს, რომ მშობიარობა პათოლოგია არ არის, ეს არის ფიზიოლოგიური პროცესი, ამიტომ შიში, რომელიც ორსულებს აქვთ, მაქსიმალურად უნდა იქნას დაძლეული.

# დავით ქაცარავა ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს

მსახიობი დავით ქაცარავა რუსი ოკუპანტების მიერ ე.წ. საზღვრის გადმოწევას აპროტესტებს და მათ წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს. სპეციალურ მიმართვას თანამოქალაქეებისადმი მსახიობი სოციალურ ქსელში ავრცელებს:

– საქართველოს შვილებო! წრე გაირღვა! დადგა ის დღე, როდესაც მთის წვერიდან გუნდა დაგორდა, მალე ის ზვავად გადაიქცევა და ყველა ქართველს გააერთიანებს!

მორჩა ფეისბუკში მხოლოდ განრისხებული პოსტების წერა, ორთქლის გამოშვება და იმ შეგრძნებით დაძინება, რომ ვალი მოვიხადეთ პოსტის დაწერით სამშობლოს წინაშე!

მე გავარღვიე ეს წრე და გადავწყვიტე, ოკუპანტებს გზაზე გადაველობო! არა ერთხელ, ერთჯერადად, არამედ აწი ყოველთვის და ცხოვრების ბოლომდე! მე დავიღალე იმ შეგრძნებით, რომ დამარცხებული და სულიერად დაუძლურებული ერის შვილი ვარ, დავიღალე იმ შეგრძნებით, რომ



ჩვენი წინაპრები სირცხვილისგან საფლავებში ადგილს ვერ პოულობენ! მე მინდა ადუღდეს სისხლი ჩვენს ძარღვებში და გაიღვიძოს ქართულმა მებრძოლმა სულმა, მინდა დავიბრუნოთ ძველი ღირსება!

დროა, დავდგეთ ერთად და ვაჩვენოთ გარეშე მტრებს, რომ ჩვენი ღირსეული წინაპრების ღირსეული შთამომავლები ვართ! ვიცი, რომ რთული გზაა, ვიცი, რომ უამრავი წინალობა შეგვხვდება ამ გზაზე, მაგრამ აღარ შეიძლება მეტი მოთმენა, მეტი ლოდინი! ძალა ერთობაშია და თუ ერთად დავდგებით, დავახევინებთ რუსს და სხვათა უკან! მე დავდგები საოკუპაციო ხაზზე და აღარ გავატარებ ოკუპანტს! გუშინ დარჭობილი საოკუპაციო ბოძი უკანასკნელი უნდა იყოს და აწი მხოლოდ უკან უნდა დავახევინოთ მტერს!

მე ვიწყებ ბრძოლას და არა ფეისბუკსივრცეში, მე პირისპირ დავდგები ჩვენს მტერთან და თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ხარჯზე არ გადავადგმევინებ ნაბიჯს წინ! აგორდება ეს ზვავი და მხოლოდ ერთი თხოვნა მექნება ჩვენს სახელმწიფოსთან – არ შეგვიშალოთ ხელი, არ შეეცადოთ ჩვენი გაჩერება, ეს ჩვენი სამშობლოა და მოგვეცით საშუალება, აწი ჩვენ დავიცვათ საქართველო! რაც თქვენ ვერ გააკეთეთ, იქნებ ჩვენ გამოგვივიდეს! ყვირის ქართველი გმირების დაღვრილი სისხლი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში!

ვინც ჩათვლის, რომ მისი ცხოვრების მისიაა სამშობლოს დახსნა მტრის ხელიდან, კეთილი იყოს მისი ამ წმინდა ომში ჩაბმა! მხოლოდ იცოდეთ, ეს ომი არ დამთავრდება არც ხვალ და არც ზეგ, არც ერთ წელიწადში და ორში... მაგრამ ეს ომი აუცილებლად ჩვენი გამარჯვებით დასრულდება და ამის მწამს მთელი სულითა და გულით! ძალა ერთობაშია!

# განახლებული „მზიური“ გალაკონცერტს გამართავს

9 და 10 ივლისს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის განახლებულ თეატრალურ დარბაზში განახლებულ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „მზიურის“ პრეზენტაცია და გალაკონცერტი გაიმართება.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლის ახლანდელი, მე-8 თაობის წარმომადგენლები, სხვადასხვა თაობის „მზიურელები“, ცნობილი მომღერლები. „მზიურელები“ მსმენელის წინაშე წარდგებიან განახლებული მრავალფეროვანი პროგრამით, შესრულდება ახალი ნაწარმოებები, ცნობილი ჰიტები ახალი ინტერპრეტაციითა და არანჟირებით.

საგამოფენო სივრცე დაეთმობა მათ სასცენო სამოსს, ანსამბლის წარმატებულ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ფოტო-ვიზუალურ მასალას.

ანსამბლ „მზიურის“ ხელმძღვანელია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გურამ ჯაიანი. პროექტის მუსიკალური პროდიუსერია ბუკა კარტოზია, ქორეოგრაფი – არჩილ სოლოღაშვილი, მუსიკოსი – ზაზა წურწუმია, კოსტიუმების დიზაინერი – დათუნა სულიკაშვილი, ფოტოგადაღება – ჯიჯი რეჯინი. განახლების პროექტის, რებრენდინგის ფარგლებში განახლდა ანსამბლის რეპერტუარი, დიზაინი, სასცენო კოსტიუმები, გამოცხადდა და ჩატარდა ანსამბლის ახალი წევრის შესარჩევი ღია კონკურსი, რის შედეგადაც შეირჩა ანსამბლის ახალი წევრი.

ანსამბლი „მზიური“ 1971 წელს შეიქმნა და პირველი გამოჩენისთანავე მოიპოვა საყოველთაო აღიარება არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. „მზიურელებმა“ განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ბავშვთა საესტრადო ხელოვნების განვითარებაში, მონაწილეობა მიიღეს 25 მხატვრული და დოკუმენტური ფილმის გადაღებაში, დადგეს




4 მუსიკალური სპექტაკლი.

სექტემბრიდან ანსამბლ „მზიურის“ მერვე თაობას ექნება საკუთარი სკოლა-სტუდია, სადაც ძირითადი ყურადღება ვოკალური კულტურის განვითარებასა და შესწავლას დაეთმობა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ქართული კლუბებისთვის ევროპის ლიგა დასრულდა



სამმა ქართულმა გუნდმა დაასრულა ევროპა ლიგა, რომელიც ჯერ გახურებულიც არ იყო. 6 მატჩი, 1 ფრე და 5 წაგება, ბურთების შეფარდება 2:15 – ასეთია ჩვენი გუნდების ნადავლი.

დაგვრჩა ჩემპიონთა ლიგაზე მოთამაშე სამტრედია, მაგრამ ილუზიებს ნუ მივეცემით – შედეგი აქაც წინასწარ არის ცნობილი.

**ტორპედო (საქართველო) - ტრენჩინი (სლოვაკეთი) 0:3**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

**0:1 გონგი(21), 0:2 ბერიძე(49), 0:3 გონგი(64)**

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა (ადამაძე 65), კაპანაძე, კუხიანიძე, გურული, დოლიძე, ქიმაძე, გიგაური, ხურციძე (მამასახლისი 46), ტუღუში (კვირკვია 57)

**ტრენჩინი:** ჩოვანი, სკოვაისა, ზუბაირუ, კლოსტერი (შულეკი 76), ბერიძე, ლაურენსი (იულიენი 81), უბინკი, მაჰდუი, გონგი, კლეშჩიკი, მანცე (კატაკოვიჩი 68)

რიონისპირელებს ორმატჩიანი დუელის ბედი სლოვაკეთშივე ჰქონდათ დაკარგული. ერთია, ტორპედო საკუთარი მაყურებლის წინაშე თუ შეეცდებოდა პრესტიჟის დაცვას. ამაოდ... ქუთათურებმა ვერც საკუთარ მოედანზე მოახერხეს, რაიმე წინააღმდეგობა გაეწიათ მეტოქისთვის.

ერთია, როგორც სლოვაკეთში, ამჯერადაც საწყისი 20 წუთი იყო ტორპედოსი. თუმცა, ეს უფრო მოჩვენებითი აქტიურობა იყო. თუ ტრენჩინში კახა ჩხეტიანის ბიჭებმა გოლის გატანა მოახერხეს, ამჯერად ესეც არ გამოუვიდათ. არადა, მე-9 წუთზე შესანიშნავი მომენტიც შეექმნათ: დოლიძე-ტაბატაძე-დოლიძის კომბინაცია უკანასკნელის ულამაზესი დარტყმით დასრულდა, თუმცა ჩოვანმა ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მე-20 წუთზე ტორპედოს ანგარიშის გახსნა კვლავ შეეძლო: გიორგი გურულის პასის შემდეგ გიორგი ქიმაძე დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, თუმცა მეკარემ ქართველი ფეხბურთელის დარტყმული ამჯერადაც კუთხურზე მოიგერია.

21-ე წუთზე ტრენჩინი დაწინაურდა. სლოვაკთა საპასუხო შეტევა ჰილარი გონგმა საჯარიმოს გარედან დარტყმით დაასრულა, თუმცა როინ კვასხვაძემ მის დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა.

ქუთაისური გუნდი მეორე გაშვებულ ბურთს მე-40 წუთზე როინ კვასხვაძემ გადაარჩინა: ტორპედოელთა მეკარემ სლოვაკეთში დუბლის ავტორ მანცეს არ გაატანინა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე, სლოვაკური გუნდის უპირატესობა ორბურთიანი გახდა. ოლეგ მამასახლისის არაზუსტი პასის შემდეგ, ტრენჩინის ქართველმა ლეგიონერმა, გიორგი ბერიძემ, ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

ბერიძემ მე-3 გოლშიც მიიღო მონაწილეობა – მისი პასით გონგმა დუბლი გაიფორმა.

**იაგელონია (პოლონეთი) - დინამო (ბთ საქართველო) 4:0**

**ბიალისტოკი. მიეისკი**

**ტომელინი (58), ჩერნიხი (81), რუნიე (88), სეკულსკი (90)**

**იაგელონია:** კელემენი, გორალსკი (შიმანსკი 82), რომანჩუკი, ხომჩენოვსკი, ბურლიგა, ნოვიკოვასი (მისტკოვსკი 74), ჩერნიხი, სიტია, ტომელინი, რუნიე, შერიდანი (სეკულსკი 85)

**დინამო:** ტიმოფეევი, მახარაძე, ქავთარაძე (მარცვალაძე 62), შონია, სუხიაშვილი, კვირკველია, გრიგალაშვილი (ფარტენაძე 78), თარხნიშვილი, ტვილდიანი (ვარშანიძე 87), მგელაძე, კვასოვი

**გაძევება:** თარხნიშვილი (75)

უსახელოდ გამოეთიშა ევროპის ლიგას ბათუმის დინამოც. ზღვისპირელებმა თუ შინ 0:1 წააგეს, სტუმრად კიდევ უფრო ცუდად ითამაშეს და 0:4 დამარცხდნენ პოლონურ იაგელონიასთან.

მატჩის პირველი ტაიმი შედარებით თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, შესვენების შემდეგ კი პოლონელებმა პირწმინდად დაჩაგრეს ქართული კლუბი.

ანგარიში 58-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც მასპინძელთა ბრაზილიელმა მცველმა გუტიერი ტომელინიმ კუთხურის შემდეგ თავური დარტყმით გაიტანა. გამანადგურებელი ანგარიშის არაფერი ჩანდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბათუმელები მოედანზე კაცნაკლულნი დარჩნენ, გუნდი მთლიანად მოიშალა და ბოლოსკენ 3 გოლი გაუშვა.

ჯერ მეკარესთან პირისპირ გასულმა ლიტველმა ლეგიონერმა ფიოდორ ჩერნიხმა გაიტანა, შემდეგ ხორვატმა ივან რუნიემ, ხოლო ბოლო აკორდი ლუკაშ სეკულსკის იყო.

**ალტახი (ავსტრია) - ჩიხურა (საქართველო) 1:1**

**ალტახი. ქეშპოინთ არენა**

**1:0 ნუტცი (29), 1:1 ტატანაშვილი (57)**

**ალტახი:** კობრასი საკიჩი, ზეხი, ნეტცერი, გალვაო გებაუერი (დობრაში 69), სალომონი, პიესინგერი, ნგვატი (შრეინერი 84) ნუტცი, აიგნერი (გრბიჩი 66)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, კაშია, ჭელიძე, ჩიკვაიძე, კაკუბავა, გორგიაშვილი (ივანიშვილი 61), კორიფაძე, განუგრავა (დეკანოიძე 82), სარდალიშვილი, ტატანაშვილი, გელაშვილი (ფონიავა 77)

სხვებზე უკეთ საჩხერის ჩიხურა გამოვიდა – ზემოიმერლებმა იბრძოლეს და ავსტრიაში ფრეც გაახერხეს, მაგრამ შინ წაგებულმა მატჩმა თავისი გავლენა იქონია.

არადა, იმის მიუხედავად, რომ პირველ ტაიმში ალტახი უკეთ ირჯებოდა, ჩიხურას შეეძლო შესვენებაზე საყაიმო ანგარიშით გასულიყო, მაგრამ გუნდი დინო ჰამზიჩმა დააღალატა, რომელმაც კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ისე გაუშვა, რომ არავინ შეხებია.

ჩიხურამ 58-ე წუთზე გაათანაბრა: ჩიკვაიძემ მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა, ხოლო დიმიტრი ტატანაშვილმა მცველს ბურთზე დაასწრო და გაშლილი ფეხით გაათანაბრა.

შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ჩიხურას 85-ე წუთზე მიეცა: მიშიკო სარდალიშვილი საჯარიმოში აღმოჩნდა, დაარტყა, ბურთი გზად მცველს მოხვდა და თითქოს გარდაუვალი იყო გოლი, მაგრამ მეკარე კობრასმა სასწაული სეივი შესთავაზა პუბლიკას და იმედიც აქ დასრულდა.

# ბ ჯგუფიდან ნახევარფინალში გასასვლელად 3 გუნდი იბრძვის

საქართველოში მიმდინარე უეფას 19-წლამდე ჩემპიონატზე ბ ჯგუფის მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა.

თბილისის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს ინგლისისა და ჰოლანდიის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. მატჩი ორმხრივი შეტევებით წარიმართა და ინგლისელთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა.

მიუხედავად რამდენიმე რეალური მომენტისა, პირველ ნახევარში გოლი არ გასულა. მეორე ტაიმიც ანალოგიური სცენარით წარიმართა, მომენტები ორივე კართან შეიქმნა და საბოლოოდ, გამარჯვების მომტანი გოლის გატანა ინგლისელებმა შეძლეს. 84-ე წუთზე ბენ ბრერეტონმა მეტოქის საჯარიმოში წარმოქმნილი არეულობით ისარგებლა და ბურთი ცარიელ კარში გადაგზავნა.



ჯგუფის მეორე შეხვედრას, რომელშიც ერთმანეთს გერმანიისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები დაუპირისპირდნენ, გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონმა უმასპინძლა. მატჩი გერმანელთა დამაჯერებელი გამარჯვებით 3:0 დასრულდა. მათი მხრიდან გოლები ამენიდომ, გიულმა და ფრიდემ გაიტანეს. გერმანელებმა მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვეს და ნახევარფინალში გასვლის შანსს ინარჩუნებენ.

ორი ტურის შემდეგ ბ ჯგუფს ექვსი ქულით ინგლისის 19-წლამდე ნაკრები ლიდერობს. მეორე-მესამე ადგილზე 3-3 ქულით ჰოლანდია და გერმანია არიან. ბოლო, მეოთხე ადგილზე მყოფ ბულგარეთს კი ნული ქულა აქვს.

**გთავაზობთ ევრო 2017-ის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის მატჩების განრიგს:**

**ა ჯგუფი**

8 ივლისი: პორტუგალია-შვედეთი; ჩეხეთი-საქართველო.

**ბ ჯგუფი**

9 ივლისი: ჰოლანდია-ბულგარეთი; ინგლისი-გერმანია.

# საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ერევანში ყაზახეთი დაამარცხა

ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისში მყოფმა საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა პირველი სრულფასოვანი მატჩი გამართა სომხეთში და 10 ქულის სხვაობით – 57:47 გაიმარჯვა. ქართველებს პირველი მატჩის ჩამთავრება არ დასცალდათ – სომეხ თანატოლთა ნაკრებთან მატჩის მე-3 პერიოდში ფარის კონსტრუქცია დაზიანდა და შეხვედრა ველარ გაგრძელდა.

ყაზახეთთან მატჩი სხვა დარბაზში დანიშნეს და შეხვედრაც უპრობლემოდ წარიმართა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილისა და გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა ყაზახებს პირველი პერიოდი 19:14 მოუგო და დიდი შესვენებისთვის კვლავ 5 ქულით ლიდერობდა. მესამე მეოთხედში ქართველებმა უპირატესობა კიდევ უფრო გაიმყარეს – გუნდური თამაშის წყალობით ათწუთეული 18:10 მოიგეს და ბოლო პერიოდის წინ 13 ქულით დაწინაურდნენ.

ბოლო მეოთხედში ყაზახებმა ჩამორჩენა 10 ქულამდე შეამცირეს და შეხვედრაც ქართველების 10-ქულიანი გამარჯვებით დასრულდა. 11 ქულით ჩვენს ნაკრებს ლევან გოგალაძემ ულიდერა. 9-9 ქულა ერთბაშად სამმა კალათბურთელმა – ვილი ისიანმა, ლადო ფურცხვანიძემ და დავით აფხაზავამ მიითვალეს.

ქართველები ბოლო მატჩში ისევ სომეხ თანატოლებს დაუპირისპირდებიან, რის შემდეგაც თბილისისკენ გამოემგზავრებიან და ევროპის ბ დივიზიონისთვის მზადებას შინაურ კედლებში გააგრძელებენ.




# შედეგები

## 6 ივლისი

### ფეხბურთი

**უეფას ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| დაჩია-შკენდია | 0:4 |
| აელ-სტ.ჯოზეფი | 6:0 |
| მილსამი-ფოლა | 1:1 |
| ტირანა-მაკაბი | 0:3 |
| ორდაბასი-შიროკი | 0:0 |
| სუდუვა-შახტიორი | 2:1 |
| პელისტერი-ლეხი | 0:3 |
| იელგავა-ფერენცვაროში | 0:1 |
| რაბოტნიჩკი-ტრე პენი | 6:0 |
| ჰიკ-კონას | 3:0 |
| სეინიაიოკი-რეიკიავიკი | 0:2 |
| ატლანტასი-ქაირათი | 1:2 |
| ტრაკაი-სტ.ჯონსტონი | 1:0 |
| ფლორა-დომჟალე | 2:3 |
| განძასარი-მლადოსტი | 0:3 |
| ლიეპაია-კრუზეიდერსი | 2:0 |
| ინტერი-მლადოსტი | 2:0 |
| ბოტევი-პარტიზანი | 1:0 |
| ვადუცი-ბალა | 3;0 |
| დიფერდანჟი-ზირა | 1:2 |
| რუჟომბეროკი-ვოივოდინა | 2:0 |
| სლოვანი-პიუნიკი | 5:0 |
| დუნავი-ირტიში | 0:2 |
| ტორპედო-ტრენჩინი | 0:3 |
| აიკი-კლაკსვიკი | 5:0 |
| რუნავიკი-დინამო (მნ) | 0:2 |
| ბანგორი-ლიუნგბიუ | 0:3 |
| სარაევო-ზარია | 2:1(6:7პ) |
| ტორსჰავნი-კალიუ | 1:2 |
| პრიშტინა-ნორჩიოპინგი | 0:1 |
| ოლიმპია-ვაასა | 0:1 |
| ალტახი-ჩიხურა | 1:1 |
| სუტიესკა-ლევსკი | 0:0 |
| იაგიელონია-დინამო (ბთ) | 4:0 |
| ზეტა-ჟელეზნიჩარი | 2:2 |
| ვაშაში-ბეითარი | 0:3 |
| ფლორიანა-ცრვენა ზვეზდა | 3:3 |
| ფოლგორი-ვალეტა | 0:1 |
| გორიცა-შირაქი | 2:2 |
| სან ხულია-სკენდერბეუ | 0:5 |
| ოსიეკი-სანტა კოლომა | 4:0 |
| დერი-მიდტიულანდი | 1:4 |
| ბალიმენა-ოდ გრელანდი | 0:2 |
| კორკი-ლევადია | 4:2 |
| კოლრეინი-ჰეუგესუნდი | 0:0 |
| შემროკი-სტიარნანი | 1:0 |
| ლინკოლნი-აეკი (ლ) | 1:1 |
| ვალური-ვენტსპილსი | 1:0 |

### ჩოგბურთი

**უიმბლდონი – კაცები**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-პავლაშეკი | 6:2,6:2,6:1 |
| ფედერერი-ლაიოვიჩი | 7:6,6:3,6:2 |
| რაონიჩი-იუჟნი | 3:6,7:6,6:4,7:5 |
| ტიმი-სიმონი | 5:7,6:4,6:2,6:4 |
| ა.ზვერევი-ტიაფო | 6:3,6:4,6:3 |
| ბერდიხი-ჰარისონი | 6:4,6:3,6:7,6:3 |
| დიმიტროვი-ბაღდატისი | 6:3,6:2,6:1 |
| მონფილსი-ედმუნდი | 7:6,6:4,6:4 |
| ოფნერი-სოკი | 6:3,6:4,3:6,2:6,6:2 |
| სელა-ისნერი | 6:7,7:6,5:7,7:6,6:3 |
| რამოსი-რუბლიოვი | 7:5,6:7,4:6,6:3,6:4 |
| მ.ზვერევი-კუკუშკინი | 6:1,6:2,2:6,3:6,6:4 |
| გულბისი-დელ პოტრო | 6:4,6:4,7:6 |
| დონალდსონი-ლორენცი | 6:4,7:6,6:7,6:2 |
| მანარინო-სუგიტა | 6:1,5:7,4:6,7:6,6:2 |

**უიმბლდონი – ქალები**

| | |
|---|---|
| კერბერი-ფლიპკენსი | 7:5,7:5 |
| რიბარიკოვა-კარ.პლიშკოვა | 3:6,7:5,6:2 |
| ვოზნიაცკი-პირონკოვა | 6:3,6:4 |
| კუზნეცოვა-მაკაროვა | 6:0,7:5 |
| ა.რადვანსკა-მაკჰეილი | 5:7,7:6,6:3 |
| რისკე-მლადენოვიჩი | 2:6,6:4,6:4 |
| მუგურუსა-ვიკმაიერი | 6:2,6:4 |
| ბაშჩინსკი-კუკოვა | 6:1,6:0 |
| ვანდევეგე-მარია | 6:4,6:2 |
| კონტავეიტი-კასატკინა | 6:3,6:2 |
| როჯერსი-საფაროვა | 6:7,6:4,6:3 |
| ჰერცოგი-ლეპჩენკო | 6:7,6:2,6:2 |
| ცურენკო-გოლუბიჩი | 6:1,2:6,6:3 |
| მარტიჩი-ალერტოვა | 6:1,6:4 |
| დიასი-როდიონოვა | 6:4,7:6 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა



## ორშაბათი 10 ივლისი

7.00 დოკ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" 08.00 "მადაგასკარის პინგვინები" 09.00 "მოამბე დილას" 10.00 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ტელემანი" 12.45, 04.20 "კაცების დრო" 13.50 "გურმანია" 14.20 "წიგნების თარო" 15.00, 02.20 C - სტუდია 16.30, 05.20 "დღე მუზეუმში" 17.00, 03.20 "რეალური სივრცე" 18.30 "ტელებლოგი" 20.40 "სპორტის დაფა" 21.00 ტ/სერ. "**ველვეტი**" 22.00 "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად 22.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 მხ/ფ "**შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი**" 00.40 მხ/ფ "**ფსკერზე**"

08.00 დოკ/ფ "რობინ ორლეინი. იოჰანესბურგიდან გარნიეს სასახლემდე" 09.00 დოკ/ფ "სპუტნიკის წლები" 10.00 დოკ/ფ "ამფორების გზა" 11.00 დოკ/ფ "სონია რაკელი" 12.00 ტ/სერ. "**კედრის ყურე**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 დოკ/ფ "კოდის კონცხი" 15.00 დოკ/ფ "მონსანტოს თვალით დანახული სამყარო" 17.00 დოკ/ფ "ღრუბელი სამყაროს თავზე" 18.00 დოკ/ფ "პოლი ვირილიო-სიჩქარის ფილოსოფოსი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 ტ/სერ. "**კედრის ყურე**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.00 "ნამდვილი დრო" 00.30 ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" 07.30 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 08.20, 09.20 იმედის დილა (გაგრძელება) 10.05 სერ. "**პატარძალი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "**ხაფანგი**" 1 სერ. 18.45, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 20.55 სერ. "**ძმა**" 6 სერ. 22.30 მხ/ფ "**შეუჩერებელნი 2**" 00.20 მხ/ფ "**სინოპტიკოსი**" 02.20 მხ/ფ "**მტრის ზურგში**" 03.50 მხ/ფ "**ნუგეში**"

შესაძლებელია ცვლილებები

**არხის ბადეში**. 06.00, 18.30 სერ. 06.45, 20.03 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**დაკარგული წლები**" 22.00

08.00 ან/სერ. ვარსკვლავური ომები - მეამბოხეები 09.00 სერ. ""**ერთხელ ზღაპარში**" 13.00 სერ. "**მოტივი**" 15.00 სერ. "**ანტიმაფია**" 17.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" 19.00 სერ. "**შავი სია**" 21.00 სერ. "**მაფიოზა**" 22.30, 01.20, 04.20, 06.55 მხ/ფ

08.00 დოკ/ფ "ცხოვრება დიასაკლისა[?]ში" VI ნაწ. 08.30 სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" 09.20 მულტ/სერ. "დინოფროზი" 09.50 პანორამა 10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25 ტელემარკეტი 11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 3.25 ახალი ამბები 11.30 სერ. "**მეომრები**" ატილა I ნაწ. 12.00 მოდი გავიყაროთ 13.00, 04.50 ბიზნესკოდი 15.00 3-დან 5-მდე 16.25 Hellow თბილისი 18.00, 0.00 ფაბრიკა 19.55 მე რომ ვიყო 20.00, 03.50 პრიორიტეტი 21.30 დე ფაქტო 22.35 სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" 1.00 მხ/ფ "**მხოლოდ გმადლობ**" 2.35 მოდი გავიყაროთ

06.15 ღვთის სახლი "წკელიკარი" 06.35 პატერიკი-სამი წმინდა დედის ნატვრა 06.45 ქართული ალბომი 07.20 ჩვენი საგანძური 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.25 საკვირაო სახარების განმარტება 10.35 მუს. ფილმი "წელიწადის დრონი" 11.10 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**ცეროდენა რაინდები**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.40 გამოყენებითი ხელოვნება "ფერწერა და ნილბები" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 დ/ფ "ველური ბუნება-ყარყატები და წავები" 15.55 სპექტაკლი "ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს" 17.30 დ/ფ "კრიონ II" 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.20 მიწათმოქმედი "ანანურელი მეურნე" 19.40 საქართველო ევროპულ ოჯახში 20.15 ჩვენი ფონდი "ეკა დღულაშვილი-ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელი" 20.40 ძილი ნებისა "მარიამი მოსეს გადაარჩენს" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.20 პატერიკი-უღირსი მსახურების შესახებ 21.30 საეკლესიო აღმშენებლობა 22.15 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან 22.40 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 ივერიის ეკლესია "მეცნიერი მღვდელმთავარნი" 00.30 დ/ფ "გურჯის გული" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 07.00 - 03.00 ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) 07.15 - 02.15 სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) 07.30 - 02.30 ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00 ბიზნესი 21.00 მთავარი გამოშვება

## სამშაბათი 11 ივლისი

07.00 დოკ/ფ "ყველაზე გემრიელი კერძები მსოფლიოში" 08.00 "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00 "მოამბე დილას" 10.00 "პირადი ექიმი 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ტელემანი" 12.45, 04.40 "კაცების დრო" 13.45 "გურმანია" 14.15 "წიგნების თარო" 15.00, 02.40 C - სტუდია 16.30, 05.40 "დღე მუზეუმში" 17.00, 03.40 "რეალური სივრცე" 18.30 "ტელებლოგი" 20.40 "სპორტის დაფა" 20.55 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. აზერბაიჯანის "**ყარაბახი**"- "**სამტრედია**" 23.00 მხ/ფ "**ტოპაზი**" 01.10 მხ/ფ "**ქეი 9**"

08.00 დოკ/ფ "კოდის კონცხი" 09.00 დოკ/ფ "ღრუბელი სამყაროს თავზე" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 "აფხაზეთი" 11.00 დოკ/ფ "პოლი ვირილიო-სიჩქარის ფილოსოფოსი" 12.00, 22.00 ტ/სერ. "**კედრის ყურე**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 დოკ/ფ "დრაკონების მუზეუმი" 15.00 დოკ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 17.00 დოკ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" 18.00 დოკ/ფ "ჩირლიდერები" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.00 "ნამდვილი დრო" 00.30 ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

